



# როლანდი



E-mail: roland.jalagania@mail.ru

№370 (429) 5-12 ივლისი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამებრელო“ ორბანო ფასი 50 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრელოდ ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრელო ენა – ააქი შენიცა

**ჰაელაბ ჭიკაშვილი:  
სანკტ-პეტერბურგის  
ეკონომიკური  
ფორუმი და  
საერთაშორისო  
ვითარება**

გვ.2

**გიორგი  
სალუქვაძე:  
ნუსხ მინა,  
ტირის ზეცა,  
გმინავს ერი!**

გვ.3-6


**„დაჩაგრული“  
საქართველო**  
...სამოცი წლის წინანდელი გაზეთის გაყვითლებულ ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი მარტო ქართველების ზეიმი არ იყო; რომ მოსკოველები კარგად იცნობენ ქართული ესტრადის ოსტატებს და დიდ პატივს სცემენ ჩვენს ხელოვნებას; რომ მოსკოვის კინოფესტივალმა გაუხსნა გზა წარმატებებისკენ „ჯარისკაცის მამას“...  
აი, ასეთი „დაჩაგრული“ იყო საქართველო...

გვ.10



**ჭადრაკის  
ტრადიცია და  
პატარა  
ზუბდიდელი  
მოჭადრაკეები**

გვ.4



**მაგალი თოღუა  
– დიდი  
მეცნიერი,  
მთარგმნელი,  
მწერალი და  
საზოგადო  
მუშავე**

გვ.8



**ბელა  
ზაღალაშვილი:  
ჭაბა, სპა, ის-  
ითხითა, ადგა და  
წავიდა... გოლოს  
დაცვამ ინაგუსა და  
5 ლარი  
დავიტოვო...**

გვ.6



**ჯეორგი სილვარმანი:  
“სააკაშვილი  
გამოყენებული  
პრეზერვატივია,  
ამერიკასა და  
რუსეთს ის აღარ  
სჭირდებათ”**

გვ.5

**დავით ქობალია:  
მორიგი  
სამთავრობო  
ბლეფი ანაკლიაში!**

...სამი დღე დაეყავი ანაკლიაში, მაგრამ ვერც მთავრობის და ვერც საზარადის გამოგზავნილ მსტოვრთა ნაკვალევს მივაგენი, ათასნაირ ხმებს რომ ავრცელებენ პორტის მშენებლობაზე და ტვინს და გულს ურევენ ადგილობრივ მოსახლეობას...

გვ.9

**ისპანახისგან ბურნუთი არ  
გამოვაო, ანუ, ვინ არის  
ალექსი გაბისონია**

გვ.4

**ღია წერილი ჩხოროყუს პოლიციის უზენის  
ინსპექტორ-გამომიყიბელს გია ჯალაღონიას!**  
...არ მსურს დავიჯერო, რომ დღეს არსებობს ნორმალური ქართველი, რომელიც კიდევ ვერ დარწმუნდა იმაში, რომ სომხურ-დაშნაკურმა ემბაიონმა მიხეილ სააკიანცი და მისი დაშნაკური ბანდა საქართველოს დასამცრობ-გასანადგურებლად მოაველინა და ამაში დიდი ფული დახარჯა...

გვ.5

სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმი და სავაჭრო-საინვესტიციო პოლიტიკა



სანკტ-პეტერბურგში გამართულმა ეკონომიკურმა ფორუმმა უდავოდ საინვესტიციო და პერსპექტიული შთაბეჭდილება დატოვა, რაც პრაქტიკული საქმეებია და დასტურდა. ფორუმის ფარგლებში არაერთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომელიც მრავალმილიარდობის ინვესტიციის საწინდარია და რუსეთის ეკონომიკისთვის უდიდესი შედეგია. მსოფლიოში ცნობილი კომპანიები დეპუტატებთან მონაწილეობას ფორუმში და მათთან ერთად 100-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი, სულ 12.000 სტუმარი.

დიდი ბიზნესის ფორუმზე დასწრებამ თავისთავად გამოხატა პოლიტიკის მიერ ხელშეწყობილი ბარიერის გადალახვის სურვილი. ბარიერი კი ისე, როგორც ყოველთვის, აშშ-ს ადმინისტრაციამ შექმნა, რომელიც დაჟინებით აფრთხილებდა მსოფლიო ბიზნესს, განსაკუთრებით თავისას, თავი შეეკავებინათ ფორუმში მონაწილეობისგან.

არანაკლები ზეწოლა იყო პოლიტიკოსებზეც – რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების ცხოვრებაში გატარების მიზნით. სანქციების მიზანი რუსეთის იზოლირებაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკის კომისიის თავმჯდომარე ჟან კლოდ იუნკერი, გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი ეწვია. ევროკომისიის თავმჯდომარემ საჯარო გამოსვლის დროს განაცხადა, რომ მის ვიზიტს რუსეთში ევროკავშირელი კოლეგები უარყოფითად იხილავდნენ.

ევროკავშირელებს არც იტალიის პრემიერ-მინისტრის მათეო რენცის ფორუმში მონაწილეობა მოეწონათ. აღარ გამოიხატა დანარჩენი პოლიტიკოსებზე, რომლებიც უდავოდ „დაიმსახურებენ“ იმ კოლეგების გულსწრებობას, რომლებიც მხარს უჭერენ რუსეთის პერმანენტულ სანქციებში მოქცევას.

ფორუმზე სიტყვით გამოსულმა რუსეთის პრემიერმა პუტინმა დადებითად შეაფასა დასავლელი პოლიტიკოსთა და ბიზნესმენთა „თავგანწირვა“ და თქვა, რომ ბიზნესს სურს რუსეთთან კონტაქტები, ბევრს აქვს კიდევაც, მიუხედავად სანქციებისა, მაგრამ მსოფლიო მშვიდობისა და ეკონომიკური წინსვლისთვის უმჯობესია პოლიტიკამ ხელი არ შეუშალოს მას (ბიზნესს). გაითვალისწინებს თუ არა ამერიკულ-ევროპული პოლიტიკა პუტინის მოლოდინს, ძნელი დასაჯერებელია, რამეთუ მას სულ სხვა გეგმები ხიბლავს – რუსეთის იზოლაციაში მოქცევა, მისი ეკონომიკური დაძაბუნება, სამხედრო თვალსაზრისით დასუსტება, თვით რუსეთში ანტისახელისუფლებო გამოსვლების აგორება და მოქმედი ხელისუფლებისთვის წყლის შეყენება.

ამერიკის სამწესობარო, ამ გეგმებს ჯერჯერობით აღსრულება არ უწყობს, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა სანკტ-პეტერბურგის სავაჭრო-საინვესტიციო ფორუმმა. ვაშინგტონმა ვერც შემოღებული სანქციების მოახერხა რუსეთის იზოლირება. მართალია, სანქციებმა ნეგატიურად იმოქმედეს რუსეთის ეკონომიკაზე, მაგრამ შეინიშნება პოზიტიური ძვრებიც. სანქციებმა აიძულეს რუსეთი მიეხედა საკუთარი ეკონომიკისთვის, მეტი ყურადღება დაეთმო ეკონომიკის ისეთი დარგების განვითარებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება ნედლეულის, მათ შორის ნავთობისა და გაზის ექსპორტს.

როგორც რუსეთის პრემიერის ადმინისტრაციის უფროსმა სერგეი ივანოვმა განაცხადა – ეროვნულ ბიუჯეტში შესული თანხის 2/3 სწორედ არა ნავთობისა და გაზის ექსპორტის შედეგად შესული ფულია. მან ისიც აღნიშნა, რომ პირადად არ სურს ეკონომიკური სანქციების გაუქმება, ვინაიდან ის აიძულებს რუსეთს მოიქცეს ანალოგიურად.

სანქციებმა ხელი შეუწვევს რუსეთის ეკონომიკის განვითარებას, რამაც გამოიწვია მსოფლიო ბიზნესის შებრუნება რუსეთისკენ. პუტინისა და მსოფლიოს, მათ შორის აშშ-ს ბიზნესმენთა შეხვედრის დროს მყარად დაფიქსირდა მათი ინტერესი რუსეთში ინვესტიციების ჩადებაში. შეხვედრაში მონაწილე უცხოელი ბიზნესმენების საერთო ქონება 10 ტრილიონ დოლარს აღემატება, რაც თვალშისაცემი რამ არის და დასავლეთის, კერძოდ აშშ-ს შეშფოთებას იწვევს.

იმ დროს, როდესაც ფორუმში რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გადრეკილებაზე მსჯელობდა და ამ მიმართულებით ახალ პროექტებს ქმნიდა, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კერიმ მუქარით განაცხადა, რომ რუსეთის სირიაში მოქმედებამ მოთმინების ფილა აავსო.

კერის განცხადება რიგითად არ ჩაითვლება. მას სერიოზული დატვირთვა აქვს და მშვიდი ცხოვრების საშუალებას არც რუსეთს აძლევს და არც სხვას. მაინც რამ ათქმევინა კერის ეს წინადადება – პოლიტიკოსს, რომელიც თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ტელეფონით ელაპარაკება თავის რუს კოლეგას? მაინც რა ვითარებაა სირიაში, რაც აშშ-ს აძლევს საბაზს ასეთი განცხადების გაკეთების?

ფეხვები დრამადა გასული და აშშ-ს შიდა ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობებისკენ მიდის. აშშ-ში წინასწარჩვენო სპრეზიდენტო კამპანია ახალ ფაზაში გადადის – რესპუბლიკელებისა და დემოკრატების ჭიდილში – შესაბამისად ტრამპისა და კლინტონის ბრძოლაში. ტრამპი, არაპოლიტიკოსი, მილიარდერი, თავისი განცხადებებით უდავოდ იპყრობს ამომრჩევლების ყურადღებას.

ტრამპი – ახალი სახეა, მიუხედავად მისი ასაკისა (70 წელი), ერთობ თანამედროვე, ვისთვის რადიკალური, ვისთვის შემარცხენი სოციალისტი. მისი განცხადებები ნატოსთან, რუსეთთან, ევროკავშირთან, ინგლისის ევროკავშირში ყოფნა-არყოფნასთან, სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით აშშ-ს პოლიტიკური ისტაბლიშმენტის ყურს ეხამუშება.

და მართლაც, როგორ უნდა ესიაშინოს კონსერვატორთა ყურს ტრამპის განცხადება, რომ ნატო დრომოჭმული ორგანიზაციაა – შექმნილი ვარშავის პაქტისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დღეს არც ერთია და არც მეორე და რატომ არის ნატო? რუსეთთან მოლაპარაკება და არა ეკონომიკური სანქციების დაწესება საჭირო. ინგლისი უნდა გამოვიდეს ევროკავშირიდან (გამოვიდა კიდევ) და ა.შ.

სანკტ-პეტერბურგის ფორუმზე პუტინმა დადებითად შეაფასა ტრამპის განცხადებები, რამაც სერიოზული თავსატეხი გაუწინა ამერიკელ ნეოკონსერვატორებს. დემოკრატიის კლინტონის სწორედ ისაა, ვისაც ამერიკის პოლიტიკური წრეები უჭერენ მხარს, როგორც მორალურად, ისე ფინანსურად. ისინი მკაცრად აკრიტიკებენ ტრამპს, დასცინიან მას და ქარაფშუტა პოლიტიკოსად მოიხსენიებენ. მაგრამ არის კი ანტიტრამპული პოლიტიკა საკმარისი ტრამპის დასამარცხებლად?

საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვების მიხედვით, პრეზიდენტობის ორივე კანდიდატს თანაბარი მხარდამჭერი პყავს, თან პერსპექტივაში მოსალოდნელია ტრამპის დაწინაურება. ვითარებას ვერც კლინტონისადმი პრეზიდენტობამას საჯარო მხარდაჭერა შევლის და ვერც ტრამპის ლანძღვა. ამერიკელი ამომრჩეველი საწინააღმდეგოს აკეთებს, რაც უდავოდ აშფოთებს აშშ-ს დემოკრატ პრეზიდენტს. საშინაო პრობლემებს საგარეოც ემატება

– წარუმატებელი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, სირიის ფრონტზე რუსეთის გააქტიურება და არა მარტო სირიაში, არამედ ახლო აღმოსავლეთში. როდესაც ამ რეგიონის სტრატეგიული მოკავშირე ისრაელი მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს რუსეთთან, როდესაც პრემიერი ნეთანიაჰუ უკვე მერამდენედ ჩადის მოსკოვში პუტინთან სალაპარაკოდ (გაცილებით მეტჯერ, ვიდრე ვაშინგტონში), როდესაც თეირანში რუსეთის, ირანის, სირიის თავდაცვის მინისტრები სასწრაფო თათბირს აწყობენ, აშშ-ს ადმინისტრაციას აქვს თავსატეხი. რაღაც ისეთი უნდა მოიძებნოს, რაც შიდა და გარე ვითარებას კარდინალურად შეცვლის, დაუმტკიცებს საკუთარ ხალხს და მსოფლიოს, რომ ამერიკა ლიდერი სახელმწიფოა და მასთან თამაში როგორც რუსეთს, ისე სხვებს ძვირი დაუჯდება.

ამერიკა არის პირველი ქვეყანა და არა რუსეთი ან ჩინეთი. აშშ-ს გარკვეული წრეები ე.წ. ქორები რახანია ჩანჩინებენ „თეთრ სახლს“ და ადმინისტრაციას, რომ მხოლოდ ძალით არის შესაძლებელი რუსეთის ალაგმვა და ეს დემოკრატების ადმინისტრაციამ უნდა განახორციელოს, თუ სურს ქვეყნის სათავეში დარჩეს კლინტონის სახით.

რუსეთის მტრის ხატობა აშშ-იც ისე მოქმედებს, როგორც საქართველოში, უკრაინაში, ევროკავშირში. მაგრამ ამ იმიჯს განმტკიცება სჭირდება, რისთვისაც ვაშინგტონმა წინასწარ იღვაწა. რახანია ბალტიისპირა ქვეყნები, პოლონეთი, სხვები გააუმტკიცებთ გაპყვრიან მოსალოდნელ რუსულ აგრესიაზე. მათ ხმას უწყობენ უკრაინა და საქართველო და საერთო ძალისხმევით ისეთი სურათი იქმნება, თითქოს რუსეთი დღეს თუ არა, ხვალ შეეარდება ბალტიისპირა ქვეყნებში, პოლონეთში და ა.შ.

პოლიტიკურ დეზინფორმაციას თან მედიური ისტერია ახლავს – ახალი რუსული ტანკებით, ბომბდამშენებით, აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის არმიით და სხვა. აშშ-ის მიერ აყვანილებულმა აღმოსავლეთ ევროპისა და უკრაინა-საქართველოს პოლიტიკამ უმად პოვა მხარდაჭერა ვაშინგტონელ პოლიტიკოსებში და თითქმის 50.000-იანი არმია მიაყენა რუსეთის საზღვარს ამერიკული მძიმე სამხედრო ტექნიკით, ავიაციით, სამხედრო ფლოტით. მსგავსი მასშტაბის სამხედრო მანევრებს რუსეთის საზღვრებთან ადგილი არ ჰქონია.

სამხედრო მანევრები იმართება თურქეთში, საქართველოში, შავ ზღვაზე. თვალის შევლელთ ნატოს სამხედრო წვრთნების გეოგრაფიულ არეალს ბალტიის ზღვიდან დაწყებული შავ ზღვამდე. დაუმტკიცოთ ამას ხმელთაშუა ზღვის სირიის სანაპირო. არის თუ არა ყოველივე მიმართული რუსეთის წინააღმდეგ?

გვონებ კითხვაც გულუბრყვილოა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვაშინგტონი დაუფარავად აცხადებს რუსეთის აგრესიაზე – ჩემი შენ ვითხარის ჭრილში. დაპირისპირების ადგილად თუ მეტწილად უკრაინის აღმოსავლეთი მოიაზრება, სამხრეთით – სირიაა, იქ მიმდინარე ომით. ამ ქვეყნის მიმართ აშშ-ს აზრი არ შეუცვლია. მისი მიზანი იგივეა, რაც 5 წლის წინ – ბაშარ ასადის ჩამოგდება და სასურველი ხელისუფლების მიყვანა.

ამერიკულ გეგმებს რუსეთი ეწინააღმდეგება, ირანთან ერთად, რაც აშკარად მეტყველებს ძალთა უთანაბრობაზე ასადის დამხობა ნიშნავს რუსეთის ახლო აღმოსავლეთიდან განდევნას, აშშ-ს პრესტიჟის აღდგენას და ახლო აღმოსავლეთში დომინირებას. აშშ-ს ადმინისტრაციას, რომელსაც სირია-ერაყის ფრონტზე დიდი ვერაფერი აქვს დასაკეხნი, სერიოზული სამხედრო ნაბიჯის გადადგმა ესაჭიროება. სწორედ ამისთვის შეჰყავს სპეცდანიშნულების ძალები ერაყსა და სირიის ტერიტორიაზე – ერაყის სამხედროთა გაწვრთნის საბაბით. მისი უპილოტო თვითმფრინავები ტრიალებენ სირიის ცაში ისე, რომ თანხმობა სირიის მთავრობისგან არ მიუღიათ.

აშშ-ი და ნატო იწყებენ ახლო აღმოსავლეთში სამხედრო პოტენციალის კონცენტრაციას, რომელიც გაცილებით მეტი იქნება რუსეთის, ირანის, სირიის ძალებზე. პენტაგონმა ხმელთაშუა ზღვაში უკვე გააგზავნა ავიამზიდები „ჰარი ტრუმენი“ („Harry S. Truman“) და „დუაიტ ეიზენჰაუერი“ („Dwight D. Eisenhower“), „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის საბაბით. მალე მათ შეემატება ბელგია და დანია.

როგორც ცნობილია, ვარშავის ნატოს სამიტზე, რომელიც ივლისის პირველ დეკადაში გაიმართება, ნატოს ყველა წევრ-ქვეყანას დაევალება „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ომში ჩართვა. მაგრამ მარტო „ისლამური სახელმწიფო“ არ არის საბაბი, აქ რუსეთიც მოიაზრება, რის შესახებაც პენტაგონი არც მალავს.

ამჟამად ე.წ. დემოკრატიული ძალები, რომლებიც აერთიანებენ ქურთებს, თურქებს და ზომიერ ექსტრემისტებს, წარმატებით იბრძვიან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. ბრძოლებს კოორდინაციას უწევს აშშ-ს სპეცდანიშნულების რაზმები. „ისლამური სახელმწიფოს“ დედაქალაქ რაქაზე შეტევა ორი მხრიდან მიმდინარეობს – ერთი, სირიის სამთავრობო ძალებია, რუსეთის ავიაციის დახმარებით, მეორე ქურთებისა და ე.წ. ზომიერი ტერორისტების გაერთიანება, რომელსაც აშშ-ი უწევს კოორდინაციას. ამ უკანასკნელთა გამარჯვების შემთხვევაში სირიას დაშლა არ აცდება.

ვითარებას ძაბავს ისიც, რომ ამერიკელთა კოორდინაციით მიმდინარეობს შეტევა ლატვიის, ალბანის მიმართულებით. თუ მათ შეუერთდება ამერიკული ავიამზიდები და ნატოს ძალები, ვითარება კარდინალურად შეიცვლება ბაშარ ასადის საწინააღმდეგოდ. და არა მარტო.

ყოველივე რუსეთსაც შეეხება, არანაკლებ ბაღ ირანსაც, რას მოიმოქმედებს რუსეთი, დათმობს ის პოზიციებს, არის თუ არა შესაძლებელი „დიდთა“ დაპირისპირება? ხომ შეიძლება ასეთს შემთხვევით ან გამიზნულად ჰქონდეს ადგილი? გახდება თუ არა სირია ანტირუსული კოლექტიური შეტევის საწინდარი?

ეს, ის კითხვებია, რომლებიც პასუხს მოითხოვს.

კიდევ ერთხელ თვალის გადავაგლოთ შექმნილ ვითარებას – აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთში ამერიკა-ნატოს სამხედრო მანევრებს, უკრაინის არმიის გააქტიურებას დონეცკ-ლუგანსკის მიმართულებით, ომს სირია-ერაყში, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის დაძაბვას, ამერიკა-რუსეთის კინკლავს. ყოველივე ჩამოთვლილი აშკარა მანევრებელია ერთობ კრიზისული ვითარებისა, რომელსაც მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

მავანი მკითხავს – მერე, ჩვენ რაო. ის, რომ ამ ყველაფერთან ახლოს ვართ. ის, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები მოდის. ის, რომ აშშ-ს გარკვეული წრეები მხარს „ნაცებს“ უჭერს. ის, რომ უკმაყოფილო „ნაცები“ და მათი სატელეტე-ბი არჩევნებს გაეაღებებულად გამოაცხადებენ, რასაც ქაოსი და შეხლა-შემოხლა მოჰყვება „სანატრელ“ სააკაშვილის ჩამოსვლით და ა.შ.

საკაშვილის საქართველო პაერივით სჭირდება ვაშინგტონის გეგმას, რუსეთის წინააღმდეგ ანუ ცეცხლი სამხრეთიდან. საქართველო ემზადება არჩევნებისთვის – ერთობ არასერიოზულად, 30-ზე მეტი პარტიის მონაწილეობით. სხვებიც ემზადებიან, გაცილებით სერიოზულად. ეს აშშ-ში არსებული ძალებია, რომელთაც სხვა მიზნები ამოძრავებთ – ანტირუსული პლაკარდების შექმნა. ასეთად ისინი „ნაცებს“ და მათ ბელადს მიიხევენ.

ვისურვებდი, რომ ეს ძალა სასტიკად დამარცხდეს და, რაც მთავარია, ჩვენს მიერ ნანახი სიზმარ-ცხადი არ ასრულდებულყოფს.

კამელბე ჰიკაშვილი, პოლიტოლოგი



# წახს მიწა, ზირის ზეცა, გვიწავს პერი!

**„სიმამაცე იმ კაცისა, ვინც გაბედავს უწყოდეს ჭეშმარიტებას და ცხოვრებაში მისი განხორციელება, თავისუფალი კაცია, ჭეშმარიტი სულია.“ (მეგელი ჩინური სწავლება; ვგონებ, ჩინებულის) სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს (+) ილია მეორეს, პირველ და ამჟამინდელ ხელისუფალს, ქართველ ერს და ამ სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს!**

პო-და, რომ არ ტიროდეს ხეცა, არ წუხდეს მიწა ქვეყნად, რომ არ გმინავდეს ერი და ყველა სხვათა ენა! წინაპართ სულგებს ვუხმობთ, შეწვევს ვთხოვთ ერთ-ხმად, ყოველად წმიდამან ერთ-მან ყველა წმიდასთან ერთად, გზა გაგვიჩინათ კარიბჭის წილმოწილესთან ერთად, რადგან ყარს ირგვლივ ყოველი, მზეც ვერ ანათებს ყველგან, სიმართლის გზები დასწულა, სიმართლე არ ჩანს ჯერაც.

სახოვადოდ, რაც არ ჩანს, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მისი უდიდებულესობა სიმართლე არ დაგანებებს ყველგან, რომლის მოძიებისა და შეცნობის გარეშე ოცნებაშიც კი შეუძლებელია სიმართლის აღდგენა; ისიც სათქმელია, რომ მხოლოდ სიმართლის აღდგენის ოცნებით სოფელს ვერაფერ ააშენებს, რის შესახებ დიდი ვაჟა ფშაველა დრმა მწუხარებით გემოდღერავს: **„საქმიან კაცს ოცნებისათვის სადა სცადია, ან ოცნებას რა ხელი აქვს მასთან?“** დიახ, სამართალი მარად უკვდავი სიმართლის შედეგია და მისი გაერთსხეულების გარეშე ყოველი ქმედება უნაყოფოდ ფესვამხმარია.

ქართველი კაცი და საქართველოში მცხოვრები ზრდილი მოყმე, დღენიადაგ უნდა ცდილობდეს ყოველი მისული ხელისუფლების მიერ დაწერილ კანონს კი არ მორაგოს თავი, არამედ **(M-ს მცნებათა (M-ქართული უფლის ნიშნავს - საბა) უკვდავ მყოფობაში დაიმკვიდროს ადგილი, რაც ღმერთის, სამშობლოს და გვირგვინად ქმნილი კაცის სიყვარულით მიიღწევა.**

რა გვიშლის ხელს? რატომ გაგრძელდა დროის ჯამიანობა საქართველოში? პასუხი ცალსახაა - ჭირი!

სათქმელად ძნელი, მასთან განშორებისთვის მოსურნესათვის აუცილებელი პირობა სულის ცხონებისთვის. არავინ შეშინდეს. ეს პასუხი თვით უფლის სწავლებიდან, მასშივე დევს ხსნის მამკურნებელი ძალა. **(„როინადან, იმ დღეებში ისეთი ჭირი იქნება, რომლის მსგავსი არ ყოფილა დასაბამიდან ქვეყნიერებისა, რომელიც შექმნა ღმერთმა, ახლანდელამდე და არც არასოდეს იქნება. და უფალს რომ არ შეემოკლებინა ის დღენი, ვერავითარი ხორციელი ვერ გადარჩებოდა, მაგრამ რჩეულთათვის, რომლებიც მან ამოირჩია, შეამოკლას ის დღენი.“** მარკოზი.13.19.20)

დიახ, ეს ჭირია! სინანულის გარეშე უკურნებელი სენი. მას უყურებენ და ისმენენ, თუმცა ვერ ხედავენ და არც ესმით, რადგან მისი სახელია **„ირგვლივ ყველა მართალია“**, რასაც ერთ-ერთის სიძულვილი ჰქვია და ყველა წინამორბედი ხელისუფლის მიმართ აგრესიული ქმედებით განისაზღვრება; ამ სენით დაავადებულ საზოგადოებას, სახელმწიფოს სათავეში უმწიფარ **„მართალია“** ისეთი საქრებული მოწყობა, რომელთა ქმედება აღმშენებლობას არ ექვემდებარება, რადგან უკანონო ბნელეთის მსახურნი ცნობით თუ უმეცრებით დღენიადაგ აშთობენ ათასწლეულთა მონაპოვარს და ცხოველთათვის განკუთვნილ უნარ-ჩვევათა საბურველში ხევევს ისედაც ქანცაწვევტილ თანამოქალაქეთა ხვედრს, რათა გაიხანგრძლივონ მედროვე-დროში პიროვნული კეთილდღეობა და შემატონ მისივე წიადს მათივე უმომავლო შთამომავლობა. ასეთი გზით მავლობას მაგნებლური გზა ჰქვია, რომელთა მიმართ შემოვლებული არჩევნები ორ ბორბულ შორის უბორბტვის სასარგებლოდ მთავრდება უპირობოდ. ამის დასტურია ბოლო 21 წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარებული ყველა დონის არჩევნები, რომლის დროსაც მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ნაკლებად-ცულის სასარგებლოდ ვერც ერთხელ მოახერხა არჩევანის გაკეთება. ზუსტად ასეთი გაუზარებელი ქმედების გამო გოდებდა წინაპარი ჩვენს გასაგონად: **„საქართველოში იბადებოდნენ და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე.“**

ვერ-ვე უარყოფს, ეს საზარელი რეალობა! რეალობა, რომელიც აღთქმით მოსული კანონიერების მსხვერვის ფონზე გაშმაგებული სიყვარავით მიმდინარეობს,

რადგან დასაბამისეული გველი, ეშმაკი, სატანა თავის დასასრულს გამხეცვლებული უახლოვდება. სახეზეა უსიყვარულოდ-გაბორბტვული, სიძულვილის შავი მანტიით შეპურვილი, სოდომის ყოველგვარი ჭირისა და გომორის უკუღმართი სენით შეპერობილი, საშოვარს გადმოგებული უკვე მოსულ თუ მოსახველად გამზადებულ ე.წ. **„ნიღბოსან“-**ლიდერთა უმაღლარი კასტა, რომლებიც მზად არიან საკუთარი სახელის განდიდებისა და ათასგვარ ბრჭყვიალით შეფუთულ საკუთარ კეთილდღეობის მიღებისათვის, კვლავ ჯვარს აცვან არა მარტო მაცხოვარი, არამედ ეს მშვენიერი ქვეყანა დაუსაბამო ერთი.

ყოველი მათგანის ფერად-ბრჭყვიალია ლოზუნგია: **„აღვადგინოთ სამართალი“, „აღადგარჩინოთ საქართველო!“** ვი და ვუი დაუძინებელ მტერს! **(„ვინაიდან აღდგებიან ცრუ ქრისტეები და ცრუ წინასწარმეტყველები და მოიმოქმედებენ სასწაულებს და ნიშნებს, რათა რჩეულნი შეაცდინონ, თუკი შეძლებენ“** მარკოზი.13.22) ასეთი დღენი მთელი განველილი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია საქართველოს და არც არასოდეს ექნება მომავალში, რადგან თვით ამ მშვენიერ ქვეყანას არაფერი ჭირს გადასარჩენი, ოდითგან გადარჩენილ საქართველოში საკუთარი თავის გადარჩენაზე იზრუნოს ყველამ. ყველამ, ვისაც ღმერთის სადიდებლად, სამშობლოსა და ერის ცხოველყოფილობისთვის პიროვნული თავგანწირული მსახურება შეუძლია.

შვილნო და მამულიშვილნო! სანუკვარი ქუეყნისა და ყველა რელიგიური მრწამსის აღმსარებელი თანამოქალაქენო! (...და ყველა იმას, ვინც ჯერ-კიდევ ნელ-თბილობის მსახურებით მოიკვლევს გზას).

ღმერთს, რომელსაც ქცია მამა, შვილობა ვთხოვთ ერთხმად, ძალა და მადლი მოიღოს, პატრიარქს მივაპურთ მზერა, ვუხმობთ დიდსა და პატარას ერთ სამწყსოდ შეგვკარს ყველა, სხვაგვანა ილოცოს, სადაცა სურდეს, შეველა მშვიდობით მოვალს.

დიახ, ღოცვა და მარხული სიტყვა-აი, გარანტი საქართველოში მშვიდობის დასამყარებლად. მშვიდობის, რომელიც ჩვენ თვალწინ ჩამოიშალა და მის ჩამოშლა-გაპარტახებაში იმდენი თანამოქალაქე მონაწილეობდა, რომ ვეღარ დავთვალთ დღესაც. ძალა დაკარგა სამართალმან, სიმართლე სადღაც გაქრა. კანონი და კანონიერი უკანონობამ შეცვალა, ჩანგრია ხიდი გედისწერისა, მისი აღდგენა არავის უცდია, რადგან **„ირგვლივ ყველა მართალია“** და „უყვარს“ საქართველო! საუბედუროდ, სძულთ ერთმანეთი და მათივე ქმედებას საქართველოს „სიყვარულით ამართლებენ. გვაქვს გაბედულება ვთქვათ; ეს ბოროტეულთა უნარ-ჩვევაა (ბოროტი: კინი სიყვარული, ანუ უფლის ნათელი მოკლებული ადამიანი ან ადამიანთა თავშეყრის ადგილი: **პეტრე იბერი.** იდენტურ ადამიანთა თავშეყრის ადგილს გენიალური შოთა რუსთაველი ქაჯეთის ციხის მფლობელებს (მახის), რომლითაც ითელუბა ჩვენობამდე მოღწეული ათასწლეულითა სანახები და უმწიკვლოდ შემონახული მამულის, ენისა და რწმენის სადავებები, რასაც ერისა და ბერის წარსულ-მომავლით გასხვიოსნებულ-სულთა სამკვიდრებელი ჰქვია, რომელთა წინამდღერობითა და ღმერთის შეწყნით პირველხობილთა დარბაზი **„ლაზიერი“** მცირედ-მშვიდი-მღელვარებით ყოველთა გასაგონად ხმობს! დადგა დრო, საჯაროდ ითქვას სიმართლე, დღეთა უმოკლეს ვადაში სამართალი რომ აღდგეს საქართველოში. დამთავრდეს ვერაღეს სენი-ბოროტეულთა და მარადიული მართლის დიდებისთვის, მტყუან-მართლის გამოძიების გარეშე მამა-შვილობას შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა მოვახერხოთ უმოკლეს დროში, რაც ჩვენ ქვეყანასა-ხედა სახელმწიფოს მშენებლობისთვის გარდაუვალი პირობაა მშვიდობის დასამყარებლად და ღვთაებრივი განგებულებით არ ექვემდებარება განსჯას **(„სიონი სიმართლით გამოისყიდება და მისკენ მიტყეულნი-სიმართლით“** ესაია.1.27), აღუსრულდებლობით გამოწვეული რისხვა კიდევ მეტი ტკივილებით დატყვებდა თავს ისედაც წელში გაწვევტილ ქვეყანას და ყოველ ჩვენგანს. **(„არ შედრეკება და არ მოეშვება, ვიდრე ქვეყნად სამართალს არ დაამყარებს.“** ესაია.42.3.4.)

**მცნება.** ყოველი ჩვენგანი არ ნიშნავს მხოლოდ ინდივიდს, ის მოიცავს ოჯახს, ყოველი გვარის წინაპართ ხსოვნას და იმ მოსულ-მომავალს, რომლისთვისაც დღე-

ნიადგ იღვწის ყველა ჩვენგანი. ჩვენი ვიღია პირუთვნელად აღვწერთ ჩვენი დღეთა სურათები და ხმამაღლა ვთქვათ ის, რაც სახეზეა. სახეზე კი ჭეშმარიტებაა - მრავალსაუკუნოვანი ტყვეობიდან დახსნილი თავისუფალი საქართველო, როგორც ისტორიული მოვლენა, და მისი პირველი და უკანასკნელი ლეგიტიმური ხელისუფალი, რომელსაც სამართალ-მემკვიდრე არ გააჩნია დღესამომდე, რომლის იურიდიული კანონიერება არავის გაუუქმებია და ცოცხალია დღესაც. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ერთხელ დამკვიდრებულმა უკანონობამ ძალა მოიხსნა და დიდი სიჯიუტით იკავავს გზას თავისივე დასასრულისკენ. სიცოცხლე მისი ხანმოკლეა, რადგან ყოველი წინამორბედის სიძულვილით იკვებება, თუმცა, უპირობოდ უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ფაქტობრივი მმართველი სამართალმემკვიდრე სააკაშვილის უკანონო ხელისუფლებისა, რაც იმის მანქნებელია, რომ სამმაგი უსამართლობით დამკვიდრებული ძალაა, შევარდნაძის რეჟიმის იარაღსმულ გადამტრიალებლეთან ფაქტობრივი თანაზიარებით, პირველი ცხებული ანუ კანონიერი პრეზიდენტისა და ხელისუფლების დამხობის შემდეგ რომ მოდიან და შეჩერებაც არ უცდიათ. კიდევ ერთი, მორიგი უკანონო არჩევნების ჩატარებით ცდილობენ გაიხანგრძლივონ საკუთარი კეთილდღეობა, უხმოდ ანუ ძალის გარეშე დარჩენილ ჯერ კიდევ ქანცაწვევტილ თანამოქალაქეთა ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ გავგებით ვეკიდებით მათ ფაქტობრივ მდგომარეობას და თანამონაწილეობით მივაგებთ პატივს იურიდიულად კანონიერ პირველ ხელისუფალთან ერთად, რამეთუ მათი შეთანხმებული თანამედროვე გაბრუნება არ მოიწევა დღე მშვიდობისა, ურომლისოდაც ქართველი ერი ვერ აღდგება ბნელეთის ზეობის ქაშის და საქართველო ვერ გაბრწყინდება. აი, ასეთი ურთულესი და უმშვენიერესი მისია გაგისაზღვრათ, ბატონებო, ბედისწერამ ათასწლეულთა შესაყარზე, რასაც ვერ ვიტყვით ყველა ძველ თუ ახლად გამოჩეკილ პარტიულ მოსურნეთა სიმრავლეზე, რომლებიც ღამა-ღამაზე შეფუთული სიტყვებით, ოცნების მსგავსი აუხდენელი დავიბრუნებთ კვლავ რომ კვებავენ ისედაც ძალაგამოცდილ საზოგადოებას და იმის ფიქრიც კი არ აწუხებთ, უკანონობის მორიგი მემკვიდრენი რომ შეიძლება გახდნენ.

თითქმის მოუნანიებელი ცოცხის თანაზიარებო! შეჩერდით! სხვათა ქვეყნების წესით მომდინარე, ეკრანებზე განწყვეტილად მოღვილევე „ერთხანს მართალნი“, ამ მშვენიერი ქვეყნის მრავალათასიან დარბაზებში მოსიქმე მოქალაქენო! გონს მოგებთ, სინანულს უხმებთ, დამკვიდრებული უკანონობის მხარდაჭერისა და მსახურებისთვის, იქნებ უფალმან პატიება იხეოს თქვენი.

აი, რას მოითხოვს მამის ნების უპირობო შემსრულებელი ყოველი ჩვენგანისგან, **„ბინდისფერი სოფლის კიდევ უფრო დაბნელების დროს.“** (ღმერთმან უფლებდესყო უმეცრების ჯამი და ახლა აუწყებს ადამიანებს, ყველას, ყველგან, მონანიონ.“საქ.17.30)

უწმიდესო და უნეტარესო, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქო ილია მეორე!

პირველხობილთა დარბაზი **„ლაზიერი“** მოგმართავთ თქვენ ამჟამინდელ საქართველოს სულიერ მამასა და საზეპურო ერის მწყემსმთავარს, მარადიული უმწიკვლო კელესიის სახელით, ჩატეხილი ხიდის ბურჯად აღიმართეთ და სხვადასხვა ნაპირზე გაფანტულ საწმესოს უმაღ მოუხმეთ, სამართალი სიმართლით განაჩინეთ, ვითარცა ნინეველთ უფლისეული სინანულის დღე, დაუდგინეთ მრავალი უკეთურობის გამო თვით უფალთან დიდი შერიგების დღე და საქართველოში უკანონობის დასამთავრებლად ღვთიური კვერთხი აღმართეთ, როგორც მოსემ აღმართა იგი უდაბნოში, რომ ორივე ხელისუფალი (პირველი და ბოლო) დიდი კმაყოფილთა და მოირდებით მივაღლოს ძალმოსილების ამ სიმბოლოს, რომლის წინაშე ქვეს იხრის ყოველი სულდამული, ხილული თუ უხილავი და თქვენს უწმიდესობას გადმოგცვენ მათ ხელთ არსებული თანხმობიანი ნება ახალი კანონიერი არჩევნების ჩასატარებლად, რაც უპირობოდ ითხოვს უკვე დანიშნული არა კანონიერი არჩევნების გაუქმებას და გარდამავალ, შეთანხმებულ დროში თქვენი შუამდგომლობითა და პასუხისმგებლობის კიდევ

უფრო დამძიმების ხარჯზე, უპირობოდ აღსრულებისთვის დადგინდეს სახელმწიფოს მართვის უიშვილო და უკეთილმოზიდლესი შესაძლებლობა, აღსაყდრებული მშვიდობისა და კანონზომიერი სიმშვიდის პირობებში, უკვდავ ქართველ ერსა და საქართველოს მრავალეუროვან მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცეს არჩევნებში მონაწილე მრავალ სუბიექტთაგანს უმჯობესსა და კარგს შორის ყაროს წილი და უმჯობესის სასარგებლოდ გაიღოს ხმა.

ასეთი გზით გამართულ არჩევნებში გამარჯვებული ძალა უცილობლად მოასწავებს უკეთური დროის დამთავრებას, მის ლეგიტიმაციას საყოველთაო პატივისცემა შემოსავს, რაც აუცილებლობით-საკმარის პირობად ჩაითვლება სამართლისა და სიმართლის გაერთსხეულებით, აღორძინება დაიწყო მრავალტანჯულმა ჩვენმა ქვეყანამ და მისმან უდიდებულესმა ქართველმა ერმან, თანამოქალაქეთა სასიხარულოდ.

პირველხობილთა დარბაზი **„ლაზიერის“** მიერ საქვეყნოდ გაცხადებული მიკრძალებული რჩევისა და კანონიერების სამართალმემკვიდრეობის აღდგენის უპირობოდ აღსრულების მოთხოვნით, ჩვენეული წვდომა არ იქნება სრულად ჩამოყალიბებული თუ დარჩენილ პატივსაცემ და ანგარიშგასაწვევ ძალებსაც არ მოუწოდებდით რამდენიმე თვით გადადონ უარსო და უკანონო არჩევნებში „დამაჯერებელი“ გამარჯვების სურვილისგან უარის თქმა, რადგან თვით გამარჯვებულმან საქართველომ უნდა განსაზღვროს სამომავლო აღმშენებლობის მეტად საპატიო საქმეში თქვენი თანაზიარების რიგითობა გაწეული დეაქლის მიხედვით, რაც აუცილებლობით დადგენილი პირობაა საარჩევნო მართალნი და მარცხების შემთხვევაშიც კი გამარჯვებული დარჩეთ მუდამ, რადგან კანონიერების პირობებში წინ მავალი გამარჯვებული ძალა და მისი ლიდერი, ღმერთის მიერ განგებულებით დაშვებული საქვეყნოდ მისაღები პიროვნებით გაცხადდება, რომელშიც თავმოყრილი იქნება მრავალი ერის პირი-სახე და თავდა-პირველი გვარი.

შემოქმედის განგებით და მისივე დაშვებით ისტორიული საქართველოს ამ ეტაპზე, ცხებუელი მეფის არ ყოფნის პირობებში, გაიხსენოთ დიდი ილიას უკვდავი სიტყვები **„ჩვენი თავი ჩვენზე უნდა გვეუფროსოს“**, წინასწარმეტყველის ღვთაებრივი ნიჭით აღვსილმა ერის სულიერმა მამამ რომ დავგმოდებრა მაშინ, ჩვენ ახლა სიყვარულითა და მონანიება-მიტყვევების მადლით აღვსილმა ზრდილ-მოყმეთა საკრებულომ შევავებოთ ძალმოსილი სიტყვის მზადყოფნა, დავით აღმაშენებლის ანდერძისა და სინანულის საგალობლის ხორცშესხმისათვის, დარბაზის მოწოდების ირგვლივ გასაერთიანებლად, რაც უცილობლად წაადგება პირველ და ბოლო ხელისუფალს მყარად ჩაკიული რუბიკონი დაძლიოს და საშვიდობო გზა გაკეცოს ამჟამინდელ მწყემსმთავართან ერთად, რომლის ფუნქცია და ტიტულატურა ამკობს მას, როგორც ერის სულიერ მამას - **„უგვირგვინო მეფედ“** წარმოდგენილს თავის სამწყსოსთვის და დიდად პატივდებულ პიროვნებად შერაცხულს საქართველოში დაფუნდებულ სხვათა გვარის შვიდობის დამ მწყემსმთავართან ერთად, რომლის ფუნქცია და ტიტულატურა ამკობს მას, რომ შესმენილი იქნება მის ბაგეთაგან ამოსული ღვთაებრივი სიტყვათა კონა, ყველასათვის გასაგებ ენაზე თქმული, რაც თვითველ ჩვენგანს მიანიჭებს ენით აღუწერელ უპირატესობას, პიროვნული წილი გაიღოს და აღმშენებლობის ქვა დადოს კანონიერების აღდგენის ამ საშვილიშვილო საქმეში.

ქვეყარეშეა, საქართველოს უახლესი ისტორიის მანძილზე, ერსა და ბერს გაერთსხეულების მსგავსი შესაძლებლობა ჯერ არ ჰქონია. ახლა გვაქვს! ამის შესახებ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ და კიდევ მეტი დამაჯერებლობით მოვიწოდებთ ყველას, ვის გულსაც წმიდა სული ამოძრავებს და ამ მშვენიერი ქვეყნის ბედის ბორბალის უკუღმა ტრიალის შეჩერების დაჯერება გააჩნია, დადგენილი სიმართლის პირობებში დაამყაროს სამართლის უზენაესობა, რაც ჩვენს ერისა და მომავალი თავისუფალი საქართველოს მეორედ შობის ტოლფასია.

**ბიორბი სალუქვაძე**  
(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

ისპანახისგან ბურნუთი არ გაიშავა, ანუ, ვინ არის ალექსი ბაბინსონი

(წერილი პირველი)

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში, მესამე სართულზე, ერთ-ერთი კაბინეტის კართან გაკრული აბრა გვაუწყებს, რომ აქ დროებით დაუდგია ბინა საკრებულოს თავმჯდომარეს. შეადგებ კარს და სახეს ენით აუწერელი სილამის მზერა ავიწვავს... უმაღლესი თვალისაღწევი, წვერებიანი და ქორთომოტრეტილი, მძიმეწონიანი საჯარო მოხელის სხეულს ძლივს აკავეებს სავარძელი...

თითქმის სამი წლის წინ მარტვილის მოსახლეობას სხვა ენაზე უთარგმნელი და ენით აუწერელი ისეთი უბედურება დაატყდა თავს, რომ ვეღარავის გააგებინებ. „უხილავი ძალის“ წყალობა-შემწევით „ქართული ოცნების“ პალოზე გამოება გლეხის ბიჭი და ზოგიერთი ოცობოცო დეპუტატის მარაქაში ისე გამოჩნდა, როგორც ყოჩი - ცხვრის ფარაში. ასე გახდა საკრებულოს თავმჯდომარე, ცოდვა გამხელილი სჯობია და, უდავოდ ნიჭიერ დილექტანტად საყოველთაოდ სახელგანთქანი ისეთი ქრესტომათიული იდიოტი, როგორც არის მხოლოდ მისი ნათესავებისა და ორიოდე ყრუ მეგობრისთვის ოჯახში მისაღები და ფრად პატივსაცემი პიროვნება - ბატონი ალექსი ბაბინსონი.

თავმჯდომარე გახდა... გახდა და... გასუქდა კიდევ - ნოყიერი ბალახით ნაპატებ ბუღას დაემსგავსა (დააკვირდი, ძვირფასო მკითხველო, ამ ფოტოებს - როგორი სუსტი იყო თავმჯდომარედ არჩევაზე და როგორ გაგვიხუქდა არჩევის შემდეგ)...

თითქმის სამი წელიწადია თავპირის მტრეკით ცდილობს საპატიო პოსტზე „დადებულ“ ალექსი ბაბინსონი მინიატურული იმიჯის მოშორებას, მაგრამ ამოდ, აქამდე ვერ იქნა და ვერ მოიშორა იგი...

1970 წლის 2 იანვარს დაბადებულს სენაკის №1 საჯარო სკოლაში უფლია და, დიდი ალბათობით, უსწავლია კიდევ. შემდეგ მოუსწრია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (გეპეის) რომელიღაც ფაკულტეტის, ალბათ, დიდი წვალებით და ჯახირით დაუმთავრებია. ბოლშევიკების ძუძუნაწოვარს ერთხანს შპს „ბოლშევიკში“ მოკრძალებული თანამდებობა სჭერია. შემდეგ ბიზნეს-სფეროში გადაინაცვლა. თუმცა იქ დიდხანს ფხოკად-ფხოწოდ ამ შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომერსანტ პერსონას არაფერი ეშველა, რადგან, ერთ თურქულ ანდაზაში გაცხადებული ჭეშმარიტებისა არ იყოს - როდის იყო,

რომ ისპანახისგან ბურნუთი გამოდიოდა! არ ვიცი, ჰყავს თუ არა ალექსი ბაბინსონის დაძმა, მაგრამ დანამდვილებით ის კი ვიცი, რომ დედა ცოცხალი ჰყავს (დიდხანს აცოცხლოს!) და აბაშაში ცხოვრობს. აი, იმ საწყალ და პატიოსან ქალბატონს თამამად და სიამაყით ნამდვილად ეთქმის - დედა ენაცვალს ჩემს ლექსს (მოფერებით ალბათ ასე დაუძახებდა), ამდენ შვილში ერთი ეს გამომივიდა ბრაკიო!...

გამართლებით კი ნამდვილად გაუმართლა ბაბინსონიას. დიხს, ეს ბრაკი, ბოვანო და მუდრეგი, მართალია, ბიზნეს-სფეროში მოღვაწეობით ვერაფერს გახდა, თუმცა, „ოცნებისტყაოსანმა“ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა მარტივად დაისაკუთრა იმ მუნიციპალიტეტში, სადაც მას მანამდე, ალბათ, არც არავინ იცნობდა.

იუდას ამბორს ერთხელ ყველა იკვებოსო!... რამხელა სიბრძნეა ამ ანდაზაში... და, აი, იუდას ამბორით და გაძვრომ-გამოძვრომის კვაჭური უნარით დაჯილდოვებულმა ნაკაცარმა შეუძლებელი შექლო - „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები „იქ“, ზემოთ გააცურა-გააცურა ურაკა, შეცდომაში შეიყვანა და ღრმად დაარწმუნა, რომ თითქოს ეს „მწვერვლით შემკრთალი გულის“ მქონე, ერთი შეხედვით (თუმცა მხოლოდ ერთი შეხედვით!) უწყინარი არსება „ქართული ოცნების“ სანუკარი პოლიტიკური იდეების ნამდვილად შეუპოვარ მიმდევარს და პატრონისათვის წაშლია ძალიან ერთგულ გუშაგს წარმოადგენდა.

ისიც ნათქვამია - „ადილია ერთხელ მდგდელსაც შეეშლებაო“, და ხელისუფლების სათავეში ახალმოსულმა,



ქვეყნის მართვასა და საიმედო პოლიტიკური კადრების შერჩევაში სრულიად გამოუცდელმა „ქართულმა ოცნებამ“ საბედისწერო შეცდომა დაუშვა - თანამოსანგრედ, ალექსი ბაბინსონის სახით, სწორედ სულით ქოსა და ეშმაკეულთან წილნაყარი, პოლიტიკაში არსაიდან მოსული კაცი გაიხდა.

...და დგას პოლიტიკურ დელეგაში, უკვე სამი წელიწადია, ეს ფუქსავატი, შიფერზე ფეხებდაცურებელი საბრალო არსება და თავში რაკრაკით ჩასდის წვიმის წყალი... პოლიტიკურ ასპარეზზე ამ დინდიანი და მრავალმხრივი ხმარების დეპუტატის პრაქტიკული „ნაღვანო“, შეიძლება თამამად ითქვას, რომ კოჭლ ტურას ბეწვაცლილ ზურგზე აკვიდება.

საკრებულოს თავმჯდომარედ „გაიმასქნებულმა“, თუმცა მარტვილის საზოგადოებისათვის მანამდე სრულიად უცნობმა ნაკაცარმა ბაბინსონამ ამ სამი წლის მანძილზე თავი მხოლოდ იმით გამოიჩინა, რომ იმთავითვე საზოგადოების უსათნოესი და უკეთილშობილესი ფენის - მასწავლებლების უკუღმართ მადევრობას მიჰყო ხელი...

თხმელის მორბევით გაურანდავია ალექსის თავმჯდომარეობით მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე მიღებული თითქმის ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. არანაკლებ საარაკოდ სამარცხვინოა მისი „დასაბუთებული მსჯელობები“ სხდომებზე განსახად-განსახილველად გამოტანილ საკითხებზე. სხვა მრავალთა შორის დავასახელებდი მარტვილის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 21 ნოემბერს გამოცემულ სამართლებრივ აქტს, №53 განკარგულების სახით, რაც, ვუჭვობ, ალექსი ბაბინსონის დამოუკიდებელი ინტელექტუალური

აზროვნებისა და უბილო დამეების ნაყოფი იყოს. აღნიშნული განკარგულების დიდ ნაწილს, ვფიქრობ, „შარბაგალის“ დიდი უფრო ახის. ამ „შარბაგალის“ მოწოდებაზე, ალბათ, სენაკის ან ჩხოროწყუს საკრებულოში მოღვაწე, ბაბინსონის კეთილსმყოფელთაგანმა თუ მასავით ეშმაკს შემპობილებულმა, ოცნების ხალიხზე მასავით ცხრაჯერ გადამხტარმა სახელმწიფო მოხელემ „იზრუნა“. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით დამშვენებული აღნიშნული განკარგულებით მუნიციპალიტეტის გამგებულს თანხმობა ეძლევა - შესაბამისობაში მოიყვანოს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების წესდებები „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნებთან და დაამტკიცოს ახალი რედაქციით. ისევე წინაბრები უცხოინდეს ბაბინსონის, ან საქართველოს რომელიმე ორგანული კანონი ჰქონდეს წაკითხული, ან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ძველი და ახალი რედაქციებისა რაიმე გაეგებოდეს!

გაივლის თითქმის ერთი თვე და მარტვილის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამწარმო იურიდიული პირების წესდებებში ცვლილებების განსახორციელებლად გამგებლისათვის მიცემულ თანხმობას დაკავებული თანამდებობებიდან სკოლამდელი საგანმანათლებლო-საადამიროდულო დაწესებულებების ცენტრის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორის, სასპორტო და სამუსიკო სკოლების დირექტორთა უცვრემონო და სრულიად უკანონო განთავისუფლება მოჰყვება.

აი, სწორედ ამ უმსგავსო ფაქტს ვგულისხმობდი, ძვირფასო მკითხველო, როცა ვაცხადებდი: ნაკაცარმა ალექსი ბაბინსონამ მხოლოდ პედაგოგთა უკუღმართ მადევრობას მიჰყო-მეთქი ხელი... ბარემ აქვე ვიტყვი იმასაც, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებაში საკრებულოს მიერ დაწესებულ „ახალ“ და „სამართლიან“ რეგულაციას, მაშინ, მართალია, ოთხი დირექტორის კარიერა შეეწირა, თუმცა, საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე გამგებლის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებათა ნიაღვარს, რატომღაც „სასწავლებრივად გადაურჩნენ“ კულტურის ცენტრისა და საფეხბურთო სკოლის დირექტორები...

ილორო (გაგრძელება იქნება)

ჭადრაკის ტრადიცია და კატარა ზუბდიდელი მოჭადრაკეები



ქალაქ ზუგდიდს და ადგილობრივ საჭადრაკო სკოლას არაერთი ცნობილი მოჭადრაკის თუ მწვრთნელის სახელი უკავშირდება. აქ „სამეფო თამაშს“, როგორც მას უწოდებენ, საფუძველი პირველმა ქართველმა მოჭადრაკემ, ანდრია დადიანმა ჩაუყარა. მოგვიანებით ტრადიციები განაგრძო მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა. მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ახალი წარმატებული მოჭადრაკეების გამოვლენა-მხარდაჭერაზე დღეს ზუგდიდის საჭადრაკო სკოლა ზრუნავს. ვიდრე ოთახებში შეგახედებო, სადაც პატარები სპორტის ამ სახეობას ეუფლებიან, ფიგურებით სვლებს სწავლობენ და „შახის“ მოლოდინში სახეები ფიქრის-გან დახეროზულებიათ, მანამ, ახლად-მოწყობილ ანდრია დადიანის სახელობის სკვერს ნახავთ, თავად პირველი მოჭადრაკის სკულპტურით, საჭადრაკო დაფებით ეზოში. სკოლის შესასვლელში,

კედელზე, მსოფლიო უცხოეული მოჭადრაკეების გვერდით, ქართველ წარმატებულ მოთამაშეების ფოტოებსაც შეხვდებით არქივიდან.

მათ გვერდითა ოთახებში ჭადრაკის გაკვეთილები მიმდინარეობს. აქ 160-მდე ბავშვი სწავლობს. მათ შორის ბევრი საქართველოს თუ საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი, ან გამარჯვებული. საჭადრაკო სკოლის დირექტორი გიორგი ბერია გვიხსნის, რომ დაინტერესება პატარების მხრიდან წლიდან წლამდე იზრდება. სამეგრელო-ზემო სვანეთის ასაკობრივი და ქალაქ ზუგდიდის ჩემპიონატი, ხსოვნის ტურნირები, საახალწლოდ „საჭადრაკო ფესტივალი“, - ეს ის ღონისძიებებია, რომელიც აქ წლის მანძილზე იმართება. მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებშიც, გამარჯვებულები კი საერთაშორისო ტურნირებზე გააქვით.

„წელს განსაკუთრებით აღსანიშნავია მია ბუჭკაიას და ნიკოლოზ შამათაგას მიღწევები. მიაიმ 14 წლამდე გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ჩემპიონატზე, ნიკოლოზ შამათაგამ კი 8 წლამდელთა შორის - მეორე ადგილი. მიაიმ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური, ნიკოლოზმა ვეროპის ჩემპიონატის. აღნიშნული ტურნირებისთვის მია და ნიკა ინტენსიურად ემზადებიან“, - უთხრა „ლაივბრესს“ გიორგი ბერიამ. სკოლას, რომელიც 1970-იანი წლებიდან ფუნქციონირებს, სხვა წარმატებული პატარა

მოჭადრაკეებიც ჰყავს. მაგალითად, მია ბუჭკაიას ძმა გიორგი, რომელიც 18 წლამდე ჭაბუკთა შორის საქართველოს მესამე ადგილის პრიზიორია, ასევე გიორგი ნაყოფია - ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი მის მსგავსად. ცდილობენ ის ტრადიციები განაგრძონ, რაც თავის დროზე ალექსანდრე დეგებუაძემ, მურმან დემურიაშვილმა, გიზო ჭურჭულიამ, თამაზ კიკინამ, მადონა ბოკუჩავამ შექმნეს. ისევე როგორც მწვრთნელმა - ნოდარ გელოვანმა, ნუგერ შოგიბაძემ, ყორა მზარელუამ.

ჭადრაკის სკოლა ქალაქ ზუგდიდის მერიის დაქვემდებარებაშია. აქ დღეს ბავშვებს ოთხი მწვრთნელი წვრთნის. ამბობენ, რომ საჭირო ინვენტარს ყოველწლიურად ანახილებენ, ამიტომ ის, რაც აქვთ, ყოფნით.

გიორგი ბერია ფიქრობს, რომ დაინტერესების ზრდა ბავშვების მხრიდან, ჭადრაკის კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

ნიკოლოზ შამათაგა ორი წელიწადია სპორტის ამ სახეობას ეუფლება. უკვე წარმატებებიც აქვს, ის საქართველოს ვიცე-ჩემპიონია და აგვისტოში ჩეხეთში გასამართ ვეროპის ჩემპიონატზე მიემგზავრება.

მისგან განსხვავებით თეიმურაზ კვიციანი უკვე მეხუთე წელია ჭადრაკის სკოლის მოსწავლეა. ფიქრობს, დიდი და ცნობილი მოჭადრაკე გახდება. მანამდე საქართველოს ორგზის ჩემპიონობა უკვე მოასწრო.

„ახლანდელ ვიყავი ხონში და შვიდი შესაძლებლობიდან შვიდი ქულით გავედი პირველ ადგილზე“, - გვითხრა. მათ საჭადრაკო სკოლის მთავარი მწვრთნელი გონა თორია წვრთნის. ამბობს, რომ ცდილობენ საჭადრაკო ტრადიციების მქონე ზუგდიდში სპორტის ამ სახეობის კიდევ უფრო მეტ განვითარებას შეუწყონ ხელი. მით უფრო იმ გარემო-პირობებში, სადაც თანამედროვე ბავშვის ინტერესი კომპიუტერმა ჩაანაცვლა. „რა თქმა უნდა ძნელია მათთან მუშაობა, მაგრამ ამ სიძნელესთან გამკლავებაში ბავშვებისადმი სიყვარული და ის მომენტი, რომ უფრო კარგები ხდებიან, რაც დრო გადის, როგორც აზროვნებით, ასევე პიროვნებებით, ძალიან გვეხმარება. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ არამარტო კარგი მოჭადრაკეები გახდნენ, არამედ კარგი პიროვნებებიც, იმიტომ, რომ თუ პიროვნება არ იქნა კარგი, ის კარგი მოჭადრაკეც ვერ იქნება“. გონა თორია ამბობს, რომ ნიჭიერი თაობა მოდის, თუმცა ამ ნიჭს სწორად გამოყენება, მიმართულების მიცემა სჭირდება. საჭადრაკო დაფასთან თავდახრილი ბავშვების ნაწილისთვის ჭადრაკი ჯერ მხოლოდ გამოუცნობი გატაცებაა, რომელიც მოსწონთ, კონკრეტული მიზნების გამო, ან სულაც უშიშროდ, გართობისთვის, ზოგისთვის კიდევ ამ სპორტს დიდ მომავალზე ოცნებები უკავშირდება.

ინო თოლორაია



ლია ნარილი ჩხოროწყუს აპლინიის უბნის ინსპექტორ-გაემომიხივალს გია ჯალაღონიას!

პოეზიის გულისგან



შვილო, გია, ამ წერილის მოწერის მორალურ უფლებას მაძლევს თუნდაც ჩემი ასაკი, რადგან მე მამათქვენზე ბევრად უფროსი ვარ, მაგრამ შენდამი მოძღვნილი უსტარის შეთხზვის ორი ძირითადი მიზეზი მაინც ის არის, რომ, ჯერ ერთი, ჩემი მოგვარე ხარ და მეორეც - კაი ყმა - კაცი, რომელთან დამრიგებლურ საუბარს აზრი აქვს, რადგან იგი არასოდეს მიავლესიყურებს მისთვის კეთილისმსურველი უფროსი ადამიანის შთაგონებას.

ეკონომიკა, ქურდულად მითვისეს მილიარდობით დოლარი და საქართველოს აკიდეს 12-მილიარდდოლარიანი საგარეო ვალი. და დღეს, ამ არაადამიანებს კიდევ ჰყოფნით იმის თავხედობა, რომ ბინძური ხელებით ეპოტინონ ხელისუფლებას, პრეტენზიას აცხადებენ ძალაუფლებაზე და მექრთამე გაპედერასტებული ევროამერიკელების ძალისხმევით ცდილობენ რეანიმირებას.

მთარგმნელი ვირტუოზულად ახერხებს გახვლას ბეწვის ხიდზე. თავისუფალი თარგმანის სცილასა და პქარედის ქარიბდას შორის არ იღუპება. მოლიანად და უდანაკარგოდ გადმოაქვს ავტორისეული სათქმელი და ემოცია. იქვე, „სპარსული პოეზიის შედეგების“ წინათქმაში მაგალი თოდუა წერს: „აქ მოქცეული ლექსების თარგმნა სტუდენტობის დროს დავიწყებ, როცა არც სპარსული ვიცოდი ხეირიანად (ახლა ვიცი?) და არც ქართული. ვთარგმნიდი ისე, როგორც მიხერხდებოდა. მაგრამ, რაც არ უნდა მექნა, მაინც ვერ ავცდებოდი თარგმნის შესახებ არსებულ სამად სამ მოცემულობას: რომ ფრანგები ამბობენ, ლექსის თარგმანი ცოლსა ჰგავს, თუ ძალიან ლამაზია, ეჭვიანობ, ხომ არ მღალატობსო; რომ ომარ ხაიამის რობაიების ინგლისური სენსაციური ადექვატის შემქმნელმა ედუარდ ფიცჯერალდმა (1809-1883) თარგმნის დროს მიმართა პარადოქსულ მეთოდს: თუ გინდა ორიგინალს დაუახლოვდე, უნდა დაშორდე მას; რომ დონ კიხოტმა სანჩოს განუმარტა: თარგმანი ნოსის უკანა მხარეს ჰგავს, რომელზედაც მისი ყველა ფერი და მოხატულობა კი ჩანს, მაგრამ ნოსის პირივით ხასხასა არაა, მკრთალიაო“.

\*\*\*

მაგალი თოდუა 2016 წლის 3 მაისს, 89 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას სიც-

ოცლის ბოლომდე არ შეუწყვეტია აქტიური მთარგმნელობით-სამეცნიერო მუშაობა. გაანახლა „არმაღანის“ გამოცემა, რომლის მხოლოდ პირველი ნომრის გამოცემას მოეწყო. პროზაულად თარგმნა და გამოსცა აბდ-ორ რაჰმან ჯამის „იოსები და ზოლეისა“. მის უკანასკნელ თარგმანებს რომ ვეცნობით, არც ერთი წუთით არ გვრჩება განცდა, რომ მთარგმნელი ეგზომ ჭარმაგია, მოხუცებულია. პირიქით, ისევე იმ ახალგაზრდული შემართებითა და ეშხით სუნთქავს ის რობაიები თუ ყახალეები, როგორც მაშინ, როცა 25 წლის მაგალი თოდუა თარგმნიდა:

როგორც ჩქარი ნიღვარი, როგორც ქარი ველთა, გაქცეულან დღენი ჩვენი, რაღა დაგვრჩა ხელთა. სანამ ვცოცხლობ, არ ვინაღვლი ორთა დღეთა გამო: დღეთა ჯერეთ მოუსვლელო და წარსულთა დღეთა! (ომარ ხაიამი).

მაგალი თოდუა პირადი ცხოვრებითაც საოცრად ჰგავდა სპარსული იგავების იმ ჰუმანურ გმირებს, მოყვასის უანგარო სიყვარულისკენ რომ იღტვიან. და ცხოვრების დევიზადაც გაიხდიდა მის მიერვე ქართულ ენაზე ამეტყველებული ნიზამის ამ სიტყვებს: „ისე იცხოვრე ამქვეყნად, ჩემი რჩევაა გზიანი, შენ გაიხარო, მაგრამ სხვას არ მიაყენო ზიანი“.

და ბოლოს: მართალი ყოფილა ომარ ხაიამი, მართლაც ჩალის ფასი ჰქონია ყველაფერს!

ვარსკვლავთმრიცხველმა კაცის ბედის არარა იცის,

ჩალის ფასია ფასი თვითონ ცისა და მიწის,

...ფრანგები ამბობენ, ლექსის თარგმანი ცოლსა ჰგავს, თუ ძალიან ლამაზია, ეჭვიანობ, ხომ არ მღალატობსო; რომ ომარ ხაიამის რობაიების ინგლისური სენსაციური ადექვატის შემქმნელმა ედუარდ ფიცჯერალდმა (1809-1883) თარგმნის დროს მიმართა პარადოქსულ მეთოდს: თუ გინდა ორიგინალს დაუახლოვდე, უნდა დაშორდე მას; რომ დონ კიხოტმა სანჩოს განუმარტა: თარგმანი ნოსის უკანა მხარეს ჰგავს, რომელზედაც მისი ყველა ფერი და მოხატულობა კი ჩანს, მაგრამ ნოსის პირივით ხასხასა არაა, მკრთალიაო“.

ისარე, ქვეყნად ორიოდ დღეს ცოცხლობ მხოლოდ,

ბოლოს და ბოლოს არაფერი არ არის ისიც.

კიდევ დიდხანს, დიდხანს იცოცხლოს სააქაო ცხოვრებიდან უმჯობეს ქვეყანაში წასულმა დიდმა მაგალი თოდუამ, როგორც დღემდე იცოცხლა...

ბიორბი ხულორდამა, თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი იბორ კეკელია, ისტორიის დოქტორი





# მორიგი სამთავრობო ბლავი ანაკლიაში!

გასული მაისის ბოლოს ქართული მედიისაშუალებები იწყებდნენ (მათ შორის ყოველგვარი ქართულ-ეროვნული საქმის მოძულე „რუსთავი 2“), რომ:

**„საქართველოში აკრედიტირებულმა დიპლომატებმა ანაკლიაში ის ტერიტორია დაათვალიერეს, სადაც პორტი აშენდება. ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა ელჩებს ანაკლიის პროექტის შესახებ ინფორმაცია ადგილზე მიაწოდეს და მათ კითხვებს უპასუხეს.“**

შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია ესწრებოდნენ. 12.57 / 29.05.2016“

როგორც სანდო და კომპეტენტურმა წყარომ გვაცნობა – „სამწუხაროდ, ელჩები არ ჩასულან ანაკლიაში. მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოში აკრედიტირებული საელჩოების და დიპლომატიური სამსახურების თანამშრომლებს წინასწარ ეძიებოდათ, მთავარი კითხვა იყო: ქალაქგარეთ გასვლა მოუწევს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორს?..

სამეგრელოში სტუმრობის მეორე დღეს – ანაკლიაში ჩასვლამ უცხოეთის საელჩოების და დიპლომატიური თანამშრომლებმა ხაზარაძე და კონტი ჯგუფის „ნახატების“ გამოფენა დაათვალიერეს!“

ჩემთვის, ანაკლიაში პორტის მშენებლობის თემა გამორჩეულად საინტერესოა. გამომდინარე აქედან, გადაუმოწმებელ და შეუსწავლელ ინფორმაციას არამცთუ ვერ დიდებ, საერთოდ არავის ვურჩევ, რომ იგი მეთხვედის ყურამდე მიიტანოს, რადგანაც, დრამა და დრამატიზმი ვერ, ვაღბი და სხვა ქვენა მიხედავს. გამართული ნებისმიერი აქცია, მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილს და ზიანს აყენებს ათასწლეულის პროექტს, რომელსაც „ანაკლია პორტი“ ჰქვია, არ ვაპირებ ვინმეს ხათრით არ ვთქვა სიმართლე, რასაც სამთავრობო ჩინოვნიკები ქვეყნის მოსახლეობას უმაღლავენ!

აქვე, კიდევ ერთხელ შევახსენებ ჩემს ერთგულ მკითხველს – ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ოცზე მეტი სტატია გამოვაქვეყნე სხვადასხვა მედიასაშუალებებით. უყურადღებოდ არ დამჩენია საკითხი, რაც პირდაპირ თუ ირიბად ანაკლიაში პორტის მშენებლობას ეხებოდა. თითქმის ორი წლის განმავლობაში მიმდინარე ტენდერი ფინიშის სწორად მივაცილე ორ კონსორციუმთან ერთად და, როგორც იქნა გამოცხადდა გამარჯვებული, მაგრამ?..

მაგრამ, სამწუხაროდ, აქ დამთავრდა „ოცნება“ და კვლავ აქტუალური გახდა კითხვა:

### „აშენდება თუ არა ანაკლია პორტი?“

ორწლიანი ხანგრძლივობის ტენდერის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადებულ კომპანიას არ უნდა გაეჩინა კითხვები, მაგრამ აქაც იხინა თავი „სამთავრობო ყმაწვილები“ ზედპირულმა მიდგომამ სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტისადმი და ზემოთ ხსენებული ტენდერის არც ერთი პირობა არ შესრულდა. უფრო მეტიც – ამის გამო სირცხვილის გრძობაც კი არ გაჩენიათ არც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ „ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ და არც მათ ლობისტებს.

ასე მოიარეს ხუთივე კონტინენტი მიმდინარე წლის 5 თებერვლიდან (ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადების თარიღი) ანაკლიაში ე.წ. „გაჩნების“ ჩამოყვანამდე – პრემიერმა კვირიკაშვილმა, ეკონომიკის მინისტრმა ქუშიშვილმა და თბილისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ხაზარაძემ ანაკლიაში პორტის ასაშენებელი ფულის სამთხოვროდ, მაგრამ ყველა მხრიდან მხოლოდ „ქების სიგელებით“ დაბრუნდნენ. ამასობაში სახელმწიფოსთან პორტის აშენების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ვადაც (05.05.2016) ამოწურა. ბუნებრივად, არც მშენებლობა დაწყებული პირველ ივნისს, როგორც ზემოთ ხსენებული „სამი მუშეგერი“ იფიცებოდა „ანაკლია პორტის“ ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადების ბრიფინგზე!

დროებით აქ დავსვამ წერტილს და

მკითხველს ვაცნობებ, რომ სანამ ამ სტრიქონების წერას შევუდგებოდი, ენგურის შესართავიდან ჭურბამდე ფეხით მოვიარე ზღვის სანაპირო და ვერსად შევნიშნე პორტის მშენებელთა ნაკვალევი, გარდა ნაპირსამაგრი ღრებიდან წოდებული მიმწმენიანი, რკინა-ბეტონის უნსულებისა, ნაპირსამაგრი საქმის მცოდნე სპეციალისტების აზრით მისხალი შედეგის მომტანი რომ არ არის!..

ასევე, შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც არა მხოლოდ ეჭვის თვალით უყურებს ანაკლიაში პორტის მშენებლობის პერსპექტივას, არამედ უკიდურესად მიიმდება მათი განწყობა არსებული ხელისუფლებისადმი. ყველაფერი ეს კი, კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნების წინ ხდება, რაც უამრავ კითხვებს ბადებს!

ბუნებრივია, მეც მაწუხებს იგივე კითხვა:

ვისი ინტერესებიდან გამომდინარე გამოცხადდა უფულო, უპროექტო, უიდეო და, რაც ყველაზე მთავარია, ადგილობრივი გარემო პირობების უცოდინარი და აბორიგენი მოსახლეობის ხელმეფი კომპანია გამარჯვებულად?

გადამოვიღე ხაზარაძეს და მის ლობისტებს ეპატეობათ სამეგრელოს და ანაკლიის პრობლემებში დრამა და ხაზარაძე, მაგრამ, როგორ გავიგოთ ადგილობრივი ხელისუფლების, სახელმწიფო ავანტურისტების მიერ აგორებული ბლეფისადმი აყოლა?

ამ უკანასკნელთ მინდა ვკითხო – სად აპირებთ წასვლას „ანაკლია პორტის“ მშენებლობა რომ ჩაიშლებს?

ზემოთ ნახსენები – კვირიკაშვილები, ქუშიშვილები და ხაზარაძეები, როგორც მათი თანამდებობაზე მოსვლამდე არ ჩასულან ანაკლიაში, ისე არც თანამდებობიდან წასვლის მერე იზამენ პირს ანაკლიისკენ, მაგრამ თქვენ სად აპირებთ წასვლას?

ვერც იმას დავმალავ, რომ იტყვიან, ფუი ეშმაკს და რას არ გაიგებ კაცი – ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები მომავალი არჩევნების შემდეგ პარლამენტში აპირებენ გადაბარებას!!!

არჩევნების გახსენებამ კიდევ უფრო დამიმძიმა გუნება-განწყობა. თბილისში რომ ცოტა ვინმეს ახსოვდეს „ანაკლია პორტი“, ნამდვილად არ გამოიკვირდებოდა, მაგრამ სამეგრელოში ყველას არჩევნები აკერია პირზე და 12 მილიარდ დოლარად შეფასებული პროექტის დაღუპვა რომ არავის ადარდებს, კარგს არაფერს უქადის ქვეყნის და ამ კუთხის მომავალს!

ამას წინათ, სამეგრელოს ერთ-ერთ ისტორიულ სოფელ კორცხელში ადგილობრივი მნიშვნელობის არჩევნები გაიმართა, სადაც სამი, მათგან ორი – პოზიცია-ოპოზიციის და მესამე კიდევ ერთ-ერთი უდღეური პარტიის კანდიდატი იყრიდა კენჭს. სასწაული ამბავი დატრიალდა კორცხელში – თავპირი დაანგრია ერთმანეთს პოზიცია-ოპოზიციის ნაწილმა. სამწუხაროდ, მე ამ პროცესის თვალყურის მიღებების საშუალება არ მქონია, მაგრამ, მეორე დღეს ჩემი ტელეფონი არ გაჩერებულა, კუთხე არ დარჩენილა საქართველოში ზარი არ შემოსულიყო – დედა არავისთვის უგინებიათ, მაგრამ დედა დაულოცეს იმით დამბეგვავებს, ვისი დასისხლიანებული სახეები და უკანალზე დაგდებული მძორები გაასაჯაროვა „რუსთავი 2“-მა, თან, როგორც ყოველთვის, სამეგრელოს და მეგრელების დადანაშაულება სცადა ამ სიბინძურის მოთხვედმა!

არ გაამართლა, არ იმუშავა კორცხელში დადგომულმა სპექტაკლმა, რადგან ყველასათვის ცნობილი იყო სამი ნაციონალი რომ მონაწილეობდა არჩევნებში, სამი უჯიშო და უეროვნებო პარტიის სახელით. ამიტომ ბევრს ისინი, ვისაც უამრავჯერ მოუწევთ სამართლიანი ხალხის სამსჯავროზე წარსვლა და იგივე სასჯელის მიღება, ვიდრე ყველანი ერთად, პატივს არ თხოვენ და მუხლს არ მოიყრიან იმით წინაშე, ვისაც ათი წლის მანძილზე ღირსება შეუღახეს, პატივი აჰყარეს და პროტესტის გამოთქმის უფლებაც არ დაუტოვეს!..

აქ ვამთავრებ მთავარი თემიდან უსიამოვნო გადახვევას. ხალხი და უფალი მიაგებს სამაგიეროს ყველა იმათ, ვისაც ნდობა გამოუცხადა და არ შეასრულა, იმათაც, ვისაც ათი წლის მანძილზე ფეხქვეშ გათელა ადამიანს და ქვეყნის ღირსება და კვლავ მის სათავეში მობრუნებას და დარჩენილი იმედის ამოშანთვას აპირებს!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ – ქვეყანას და მის მოსახლეობას, რომელიც კრინტს არ ძრავს 12 მილიარდიანი პროექტის ფაქტიურ დაღუპვაზე და კარსმომდგარ არჩევნებში ქვეყნის ახალი მმართველების შერჩევაზე გადართული, მომავალი არ გააჩნია!

როცა ამ თემაზე საუბარი დავაპირებ სამეგრელოს ე.წ. ინტელიგენციასთან, მათ ერთსულოვანი დუმილით მიპასუხეს – „ჩვენ თქმა რას უშველის, ჩვენ ვინ გვეკითხებაო!“

მაშინ, მე ვსვამ მათ მაგიერად კითხვებს:

1. ანაკლია პორტის ტენდერის პირობებით, ტენდერში გამარჯვებულს წინასწარ უნდა ჰქონოდა პროექტის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი შესაბამისი საბანკო გარანტიებით დადასტურებული. რატომ დაეძებს პროექტის დამფინანსებელს კვირიკაშვილ-ქუშიშვილ-ხაზარაძის ტრიო ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადების შემდეგ?

2. რა სტატუსით დაჰყვებიან კვირიკაშვილ-ქუშიშვილი ხაზარაძეს ფულის საშოვნელად? დიდი ალბათობით ისინი ამ წლის ბოლოს იმ თანამდებობებზე არ იქნებიან რასაც ახლა იკავებენ, რა ურთიერთობა ექნებათ მათ მომავალში ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან?

3. ტენდერში გამარჯვებულს, ამ უფლების მინიჭებიდან არაუგვიანეს სამ თვეში უნდა მოეწერა ხელი სახელმწიფოსთან პორტის აშენების ხელშეკრულებაზე. ეს ვადა 5 მაისს გავიდა. რატომ დაირღვა ეს პირობა?

4. ტენდერში გამარჯვებულს მიმდინარე წლის პირველ ივნისს უნდა დაეწყო პორტის მშენებლობა. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტენდერის პირობებით ეს ვადაც დაირღვა და იგი მომავალი წლის ამ დრომდე არ დაიწება მრავალ მიზეზთა გამო, რასაც სტატის დასკვნით ნაწილში მოგახსენებთ. ვინ უნდა მოსთხოვოს პასუხი ამ დარღვევაზე ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ კომპანიას?

5. რა ბედი ეწია 3 მილიონ დოლარს, რომელიც ტენდერში მონაწილეს ზემოთხსენებული პირობების დაცვის საგარანტიოდ უნდა დაედო და ამ პირობების დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოს ბიუჯეტში უნდა გადაირიცხულიყო?

6. მიუხედავად უამრავი შენიშვნა-შეკითხვისა, რომლებზეც დღემდე არ მიგვიღია პასუხი, რა აუცილებლობიდან გამომდინარე მიაღება ტენდერში გამარჯვებული ანაკლიის აბორიგენ მოსახლეობას გასასახლებლად, როცა დიდი ხანია არსებობს საერთაშორისო ექსპერტების (Ernst & Young) მიერ მოწონებული პროექტი, რომელიც მაქსიმალურად ხელშეუხებელს ტოვებს დასახლებულ ტერიტორიას და მისი ინფრასტრუქტურული განვითარების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს?!

ზემოთ ვახსენებ, რომ მშენებლობა გასულ პირველ ივნისს უნდა დაწყებულიყო... სახელმწიფოს მიერ დადგენილი ტენდერის პირობებით ეს ვადაც დაირღვა და იგი მომავალი წლის ამ დრომდე არ დაიწება-მეთქი მრავალ მიზეზთა გამო!

მოგუსმინოთ ბატონ ნოდარ წიგვიძემ (ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიდრომექანიკისა და ოკეანოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, იუნესკოს სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის საქართველოს ოკეანოგრაფიული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი...), თუ როგორ აფასებს იგი ალტერნატიულ პროექტს (იხ. „თეიმურაზ ქარჩავას მხარდამჭერთა ჯგუფი“), რომელიც ხელაღებით

იქნა უარყოფილი სამთავრობო და მოწვეულ ექსპერტთა მიერ:

„ამ პროექტის უზუღველელო მთავრობის მხრიდან გაუაზრებელი დანაშაულებრივი ქმედების ტოლფას აქტად მიმაჩნია. ქართველი სპეციალისტ-ოკეანოლოგების, პიდრომექანიკის, გეომორფოლოგებისა და გეოლოგების აზრით ტენდერის გამოცხადებამდე ანაკლიის სანაპირო ზონის კომპლექსური კვლევები უნდა ჩატარებულიყო, რომელიც მნიშვნელოვან თანხებსა და დროს მოითხოვდა. სამწუხაროდ არც უცხოელ ექსპერტებს და არც ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას, პორტის პროექტირებისა და მშენებლობისათვის, ამ მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარების აუცილებლობა არ გაუთვალისწინებია. შესაბამისად მონაწილე მხარეების მიერ წარმოდგენილი პროექტების ვარგისიანობაზე, პორტის ოპერირების ეფექტურობაზე, დაგეგმილი ტერიტორიის უზრუნველყოფაზე მშენებლობის ეტაპების მიხედვით მსჯელობა, გადაწყვეტილების მიღება და ტენდერში გამარჯვებული მხარის გამოვლენა, მხოლოდ პოლიტიკურ ნებად და ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების უზუღველელოდ მიმაჩნია.“

...სამი დღე დავეავი ანაკლიაში, მაგრამ ვერც მთავრობის და ვერც ხაზარაძის გამოგზავნილ მსტორთა ნაკვალევს მივაგენი, ათასწიერ ხმებს რომ ავრცელებენ პორტის მშენებლობაზე და ტენის და გულს ურევენ ადგილობრივ მოსახლეობას. შედარებით საყურადღებო „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ (იგივე ხაზარაძე და კონტი ჯგუფი) სახელით მოსაუბრე, ვინმე, ქალბატონ „ტატის“ ნათქვამი აღმოჩნდა – „ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ანაკლიის მოსახლეობას მთავრობა ასახლებს და ჩვენ არც ფულს ვუხდით ვინმეს და არც რამეს ვპირდებითო!“

ამ განცხადებამ კიდევ ერთხელ მოჰფინა ნათელი იმ ფაქტს, რომ ხაზარაძე და მთავრობა შეხმატებულად მუშაობენ. ისიც ცხადია, რომ – ხაზარაძის პარტნიორები ამერიკელები არიან და ბუნებრივია ისინი ვერ ჩაერვიან აბორიგენი ანაკლიელების გასახლების საქმეში, იგი საქართველოს მთავრობამ უნდა ადასრულოს, რომელსაც ქვეყნის სათავეში ყოფნის რამდენიმე თვე დარჩა.

ჩემთვის გასაკვირია, თუ რატომ ავრცელებენ განსხვავებულ ხმებს ანაკლიიდან გასასახლებელი მოსახლეობის მიწის ფასთან დაკავშირებით. მათ სურთ გაიგონ რა შეთავაზებაზე იქნება ადგილობრივი მოსახლეობა თანახმა. მაგრამ, ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი, აქ გაცილებით ავახაკური ქმედება იკვეთება, რაც თავზარდამცემ კითხვას ბადებს:

რატომ აირჩია მთავრობამ პროექტი, რომელიც უამრავ პრობლემებს ბადებს, სპეციალისტების აზრით ვერანაირად ვერ იქნება წელიწადში 100 მილიონი ტვირთბრუნვის ღრმადწელოვანი პორტი და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილის (დიდი ალბათობით მთლიანად) გასახლებას მოითხოვს, როცა არსებობს საერთაშორისო ექსპერტთა მიერ მოწონებული ალტერნატიული პროექტი, რომელიც 100 მილიონი და მეტი ტვირთბრუნვის გარანტიას იძლევა და საერთოდ არ ეხება ადგილობრივი მოსახლეობას?

აქედან გამომდინარე – რატომ აიკიდა მთავრობამ ზედმეტი, ყოველად არასაჭირო ხარჯები მისი მმართველობის მიწურულს? ხომ არ ნიშნავს ეს, დიდი ხნის წინ გამოთქმული ეჭვის დადასტურებას, რომ – ანაკლიაში არავინ აპირებს პორტის აშენებას, იქ უფრო მნიშვნელოვანი და საშიში რამ შენდება, ამიტომაც უნდა მოაშორონ იქაურობას ადგილობრივი მოსახლეობა?!

მიმაჩნია, ამ საკითხზე კამათი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსახლეობის დაუკითხავად, ახალი საპარლამენტო ავაზაკების შერჩევა-შემოთავაზება და მათ ვარგისიანობაზე თავპირის მტკრევა!



„ნაცმოძრაობა“, შუსაქლოა, დანაშაულებრივ პოლიტიკურ ორბანიზაციად გამოცხადდეს?

(ეს საკითხი გააქტიურდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ნაცებისაგან სასტიკად ნაწამები, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი)

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი 2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ანალიზის საფუძველზე ასკენის, რომ ამ პერიოდში ასეთი დანაშაული სისტემურ ხასიათს ატარებდა. რატომ დასჭირდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს დასკვნის მოსამზადებლად თითქმის ორი წელი, რატომ წარმოადგინეს ის მაინცდამაინც არჩევნებამდე 3 თვით ადრე, ამ კითხვით პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვეა ბესელიას მივმართეთ:

– გაეროს კომიტეტმა 2014 წლის აგვისტოში საქართველოს მისცა რეკომენდაცია, გამოეძიებინა 2012 წლამდე ჩადენილი დანაშაულები. სამუშაო ჯგუფი ამ რეკომენდაციების საპასუხოდ შეიქმნა. რატომ ახლა? ჩვენ ველოდებით სასამართლო პროცესების დასრულებას იმ საქმეებზე, რომლებიც პროკურატურამ აწარმოა 124 ყოფილი საჯარო მოხელის საქმეზე. 81 საჯარო მოხელეს სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა, მათ შორის იყვნენ პროკურორები და მაღალი თანამდებობის პირები. ვველა ფაქტი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეფასებულია და მათ ვაანალიზებდით. სამუშაო პროცესში ჩართული იყო ყველა უწყება და შეფასება ძალიან კარგად არის დასაბუთებული. დასკვნის განხილვა საარჩევნო წელს დიწყო არა საგანგებოდ, კალენდარულად ასე მოხდა. დასკვნა წარსულის შეფასება და პარლამენტი პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას მისცემს სააკაშვილის დროს ჩადენილ დანაშაულებს.

**გელა ნიკოლაიშვილი, იურისტი:** პროკურატურაში ასეულობით საჩივარია შესული, მათ შორის წავლას დრო სჭირდება. ის, რომ მაინცდამაინც ახლა, საარჩევნო შეარჩიეს დრო, შესაძლებელია, პოლიტიკური მოტივითაც იყოს ნაკარნახევი. როგორც ჩანს, კოალიციამ განაპირობა, რომ მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოსაყენებელ თემად გადაიქცა რეჟიმის მსხვერპლი ადამიანების უბედურება.

– როგორც ამბობენ, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, შესაძლოა, მოქმედმა სამართალდამცველებმა ავთ პასუხი.

– ბრალის წარსადგენად უტყუარი მტკიცებულებებია საჭირო, ამიტომ ძველი იქნება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება...

– რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მივიღოთ ქვეყანაში სისტემური დანაშაულის არსებობის აღიარებით?

– თუ ამა პარლამენტი მოინდომებს (მაგრამ, რა თქმა უნდა, არ მოინდომებს, ვინაიდან „ნაციონალისტ“ მფარველები და ლობისტები ჰყავთ დასავლეთში, რომლებიც ზეწოლას ახდენენ საქართველოს ხელისუფლებაზე), შესაძლოა, სისტემური დანაშაულის აღიარებით მივიღოთ ის, რომ „ნაცმოძრაობა“, მისი 9-წლიანი რეჟიმის გამო, დანაშაულებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად გამოცხადდეს.

ამ პროცესს, რა თქმა უნდა, სირთულეებიც ახლავს, რადგან მტკიცებულებების მოპოვების „ნაციონალისტ“ დროინდელ მეთოდებს როცა ცემით, დაშინებითა და წამებით ვეგაფერზე აწერინებდნენ ხელს დღეს აღარ იყენებენ. ახლა, როცა გამოძიება სერიოზულად იძიებს სისხლის სამართლის საქმეებს, მარტო ერთი განცხადება არ კმარა, მტკიცებულება დამაჯერებელი და უტყუარი უნდა იყოს!

**„ავალიანმა ახალაიას ხელი გაართვა, მიზლიანი კი მემის მარჯვენას ახრჩობდა“**

ლევან ცინდელიანი 2007 წლის 27 მარტს პატიმართა ამბოხებაში (ე.წ. ციხის ბუნტის) მონაწილეობის ბრალდებით გაასამართლეს და 12 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. ამნისტიის შემდეგ, დაზარალებულად ცნეს და დღემდე ჯანმრთელობის აღდგენისთვის იბრძვის.

**ლევან ცინდელიანი:** – 2005 წელს სოღის თანამშრომლებმა დამაკავეს. ერთ ცნობილ

თანამდებობის პირს ნარკოტიკი ჩაუდეს. სამი დღე მოდულში მამყოფეს, მაიძულებდნენ, იმ კაცისთვის დამელო ხელი (თითქოს მისგან ვიღღეულობდი ნარკოტიკს), რომელიც მხოლოდ ტელევიზორში მყავდა ნანახი. ხანაცვლოდ შემპირდნენ, გაგიშვებთ და პრემიასაც მოგცემთ. 2 აბი „სუბუტექსივ“ ჩამიდეს და მითხრეს, საპროცესო გარიგებას გაგიფორმებთ, 10.000 ლარს გადაიხდი და გაძვალ. რომ არ დავთანხმდი, თითონ მოაწერეს ხელი გაყვალბეულ საბუთებზე, თითქოს ვალიარებდი, რომ ჯიბეში ნარკოტიკი მედო. პროკურორი მეუბნებოდა, კოდეა დაგვიჭერს, თუ ეს საბუთები არ წარგუდგინებო. აღვოკატი შემომეგზავნეს, რომელმაც მითხრა, საბუთების საქმე არ გაახმაურო და საპროცესო გაგიფორმებთ, 10.000-ს გადაიტყვებ და სასამართლოს დარბაზიდან გაგიშვებთ. მეც დავთანხმდი. ეს მოხდა პარსკეეს, ორშაბათისთვის კი სასამართლო პროცესი იყო დანიშნული. იმხანად სამკურნალო დაწესებულებაში ვიწვი, ვინაიდან დაკავებიდან ორ თვეში C ჰეპატიტი აღმომაჩნდა. 26 მარტს, დამის 12 საათზე, „რესბალინის“ თანამშრომელმა, იმედალი პარტეულიანმა დამიძახა, უფროსის (მაღალხაზ სინაურიძის) კაბინეტში ჩამოდიო. ეზო უნდა გამეგლო და ისე შეგუსულიყავი ადმინისტრაციის შენობაში. ეზო სასვე იყო 200-მდე ნიღბიანი სპერაზხმელით. უფროსის კაბინეტში დამხვდნენ ახალაია, ჭაკუა, ჭარბაძე, ქარდავა, სინაურიძე და სამოქალაქოფორმიანი 15 პირი. ზურა ვიბლიანი და გიორგი ავალიანიც (შემდგომში ციხის ბუნტისთვის გასამართლებული პატიმრები) იქ ჰყავდათ. ვხედავ, პატიმარი უზით სკამზე, თმას აჭრიან და ჯიბეში უწყობენ. მერე გავივ, პლატონ მამარდაშვილი ყოფილი... ახალაია მიადგა ავალიანს და უწამაწურად ავიანა, მან კი ხელი გაართვა, ახალაია მაგიდაზე დავარდა. ვიბლიანი მეგის ქარდავას სწვდა და ახრჩობდა, ძლივს გააგდებინეს ხელიდან, მერე სპერაზხმელებმა რკინის ხელკეტებით ვიბლიანს ისე ურტყეს, დაიინვალიდეს. ბაჩო ახალაია იარაღს პირდაპირ სახეში გვირტყამდა. შემდეგ ეზოში გამოგვათიერეს, პატიმრებს მკედრები ვეგონეთ და ციხეს მდკვარება მოედო. „რესბალინის“ და მე-5 დაწესებულებაზე გადავდო, პატიმრების ხმაურზე სპერაზხმელები შეცვივდნენ. ოფიციალურად 7 გარდაცვლილი გამოაცხადეს და სინამდვილეში რამდენი იყო, დემეტრა უწყის. ყოველდღე, 12 საათზე, ახალაიასა და ჭაკუას დირექტორის კაბინეტში ჩავეყავი და მაიძულებდნენ, მედიარებინა, რომ ციხეში ბუნტი მზადდებოდა. ბაჩო ახალაია მეუბნებოდა, თუ დათანხმდები, გამოგიყვან, ბუხს ვერაინ აგიფრენს, თუ არადა, ისევეც კვლავი (იმ დამის შემდეგ ოთხი ოპერაცია გამიკეთეს – ნაღვლის ბუშტი ამომიდეს, დიაფრაგმა მქონდა გახეული, ხუდა ყბა ჩამინგრის, თავში ხირკი ჩამიდგა), არც სცენარის დავდგა გამიჭრდებოდა, რომ თავი ჩამოიხრჩო ან ვენები გადაიჭრა. დაფიქრდი, თუ იმას არ იტყვი, რასაც ჩვენ გთავაზობთ, 22 წელს მოგცემ და ამასობაში მოკვდებიო...

როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, პროკურატურაში სარჩელი შევიტანე. მივალწვი იმას, რომ დაზარალებულად მცნეს. მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას – 200 ათას ლარს ვითხოვ. პროცესი 20 ივნისს გაიმართება. მოპასუხე მხარე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, ჯერ 2.000 ლარს მთავაზობდა, მერე – 7.000-ს, ასე ვაჭრობენ. ეს თანხა თითო ოპერაცია მიჯდება. ციხეში მიღებული დაზიანებების გამო, ორი თვის წინ მეხუთე ოპერაცია გავიკეთე და კიდევ მაქვს გასაკეთებელი.

ციხის ბუნტის საქმეზე ახალაია „ლითად“ გაასამართლეს, 9 საქმიდან მხოლოდ ბუნტზე წაუყენეს ბრალი. ეს რომ გავივ, ერთი მუჭა წამალი დაველიე, რის შემდეგაც ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადამიყვანეს.

ტრავმების გამო მე-2 ჯგუფის ინვალიდი გავხდი და ოპერაციების საფასური რომ დამეფარა, სახლი გავყვიდე. მატერიალურად რაც უნდა ამინახლაურონ, განუკურნებელი დაავადებები მაქვს, ფსიქიკა დამიზიანეს, იმ უბედურებას რა დამავიწყებს, რაც იქ გამოვიარე.

ნანა ფიცხელაური

საპოლიციო კონტროლი საქართველოს მასშტაბით: ორ ღაუმი შსს-მ 1500-ზე მეტი კანონდარღვევა გამოავლინა

საპოლიციო კონტროლის შედეგად, შსს-მ სისხლის სამართლის 182 და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 1450 ფაქტი გამოავლინა – ამის შესახებ სამინისტროს გვერდზე გამოქვეყნებულ ოფიციალურ მონაცემებშია მითითებული. შსს-ს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

“შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დანაშაულის პრევენციის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სპეციალური საპოლიციო კონტროლი განახორციელა.

2016 წლის 16-18 ივნისს, საპოლიციო კონტროლის შედეგად, სამართალდამცველების მიერ გამოვლინდა სისხლის სამართლის 182 დანაშაული, მათ შორის:

- ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვისა და ტარების (სსკ-ის 236-ე მუხლი) – 61 ფაქტი;
- მკვლელობის მცდელობის (სსკ 19 -109-ე მუხლი) – 1 ფაქტი;
- ნარკოტიკების უკანონო შექმნა, შენახვა, გასაღების (სსკ 260-ე მუხლი) – 21 ფაქტი;
- საქართველოში ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანის (სსკ 262-ე მუხლი) – 1 ფაქტი.

პოლიციამ დააკავა 1 ძებნილი პირი. ასევე, გაიხსნა ადრე ჩადენილი ყაჩაღობის, მარცხის მცდელობის და საქართველოში ნარკოტიკების უკანონოდ შემოტანის თითო ფაქტი.

დაფიქსირდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 1450 შემთხვევა, მათ შორის:

- ნარკოტიკების უკანონო მოხმარების (ასკ-ის 45-ე მუხლი) – 49 ფაქტი;
- წვრილმანი ხულიგნობის (ასკ-ის 166-ე მუხლი) – 17 ფაქტი;
- დაუმორჩილებლობის (ასკ-ის 173-ე მუხლი) – 32 ფაქტი;
- დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიგნობის (ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლები) – 16 ფაქტი.

საპოლიციო კონტროლის მიმდინარეობისას, უკანონო ბრუნვიდან ამოღებული იქნა შემდეგი სახის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: 6 ავტომატი; 4 პისტოლეტი; 1 რევოლვერი; 2 საფანტის პისტოლეტი; 3 შაშხანა; 15 გადაჭრილი სანადირო თოფი; 1 სანადირო თოფი; 1 ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი; 4 ყუმბარმტყორცნი; 2 ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი; 1 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი; 36 ყუმბარმტყორცნის ჭურვი; 2 ნადმტყორცნი; 14 ამფეთქი ფაღია; 71 ხელეშობრა; 6 კავსულ-დგეტონატორი; 4037 ვაზნა და 1,5 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილი.

ასევე, ამოღებულია: 19 აბი ფსიქოტროპული მედიკამენტი; 7 აბი „დიფენოქსილატი“; 109 პირი კანფი; 7 შეკვრა მარისუანა; 2 შეკვრა „ვერონი“; 1 შეკვრა „სუბოტექსი“; 1 შეკვრა „ოპიუმი“; 49 აბი „ტრამადოლი“; 50 აბი „ფსევდოფედრინი“; 1 შეკვრა ყაყაჩოს თესლი.

საპოლიციო კონტროლის დროს, სამართალდამცველებმა ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის – 26, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის – 53 პირი დააკავეს“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩასაფრებულმა ძირმომპალმა პოლიტიკურმა ძალამ „ნაცმოძრაობამ“ ჩვეულ სტილში ატეხა ყაყანი შევარდნაძისდროინდელი „რეიდების“ ეპოქაში დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სწორედ სააკიანცის ბანდას სურს შევარდნაძისდროინდელ ეპოქაში დაბრუნება, რათა თევზი დაიჭიროს მღვრიე წყალში. განა ნათელი არ არის, რომ თუ მსგავსი საპოლიციო კონტროლი ქვეყანაში უფრო გააქტიურდება, მრავალი სახის დანაშაული ძირშივე ამოიკვეთება!

სწორედ წესრიგი და სიმშვიდე არ აძლევს ხელს ნაცბანდას და მათ ნარკომან ბელებს!



ეკროპაგვირმა, როგორც პოლიტიკურმა ბაერთიანებამ, დაამთხნარა! ნებავი ქელუხში არ დაბკაპტიშებენ?



დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ ნათელი გახდა, რომ გაერთიანებული სამეფო ევროკავშირის ტოვებს. დიდი ბრიტანეთის შემდეგ ევროკავშირის

წევრობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვენ ევროპის ულტრამემარჯვენე პარტიები. საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგებს თავისუფლების გამარჯვება უწოდა და განაცხადა, რომ ბრიტანელებმა სწორი არჩევანი გააკეთეს.

– „თავისუფლების გამარჯვებაა. დადგა დრო მსგავსი რეფერენდუმი საფრანგეთსა და ევროკავშირის სხვა ქვეყნებში ჩატარდეს, რასაც მე მრავალი წლის განმავლობაში ვითხოვდი“, – წერს მარინ ლე პენი „ტვიტერში“.

რეფერენდუმს გამოეხმაურნენ გერმანიაშიც. ბუნდესტაგის დეპუტატი და პარტიის „ალტერნატივა გერმანიისთვის“ წევრი ბეატრიქს ვონ სტორხი დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგებს მიესალმება. ის

23 ივნისს ისტორიულ და დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობის დღეს უწოდებს – „ევროკავშირი როგორც პოლიტიკური გაერთიანება დამარცხდა“ აცხადებს ბეატრიქს ვონ სტორხი.

დიდ ბრიტანეთს რეფერენდუმის შედეგებს ულოცავს ნიდერლანდების ულტრამემარჯვენეების ლიდერი გირტ ვაილდერსი და ნიდერლანდების ხელისუფლებას ევროკავშირის წევრობის შესახებ რეფერენდუმის დანიშნისკენ მოუწოდებს. მან განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ სახეზეა ევროკავშირის დაშლის დასაწყისი და ევროპის ქვეყნებმა ისევ რუსეთთან უნდა ითანამშრომლონ.

– „ეულოცავ ბრიტანელ ხალხს ღონისძიება და ბრიუსელში პოლიტიკური ელიტის დამარცხებას. ბრიტანელებმა ეროვნულ სუვერენიტეტსა და სახელწიფოს

აღორძინებას დაუჭირეს მხარი. ვიქტორბ ეს პოლანიდებებსაც სურთ, ისევე როგორც სურთ განკარგონ საკუთარი ბიუჯეტი, საზღვარი და საემიგრაციო პოლიტიკა. სწორედ ამიტომ, ნიდერლანდებში რაც შეიძლება დროულად უნდა ჩატარდეს ევროკავშირიდან გასვლის რეფერენდუმი. ევროკავშირის მომავალი არ აქვს,“ – განაცხადა გერტ ვაილდერსიმ.

მიცვალებული თითქმის სახეზეა. ახლა დარჩა კიდევ რამდენიმე პროცედურა და ქვეყნიც გაიმართება. შეიძლება მიცვალბულის დაკრძალვამდე ჩვენ ევროკავშირში შესვლა ვერ მოვასწოროთ, მაგრამ, იმედია ქვეყნში მინც დაგვიძახებენ, როგორც გაპიდარასტებულ ევროპერიკელთა გულდამწვარ ჭირისუფალს!

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნაღის ბიორბი ჯალალანია

“სულ იმ, მოედანთან ახლოს მიწა ყოფნა... ხშირად ღალატობდა ილალი. ალბათ, ასეთი ბედისწერა ჰქონდა...”




“ბავშვობიდან ვოცნებობდი, ახლოს მენახა, დაეღაპრაკებოდი ან თვითონ ეთქვა რამე. ჩემი სასკოლო რეჟიმები მისი სახელითა და გვართ იყო აჭრელე-ბული. 18 წლისას მასთან ტელეფონატებზე წაყვანას დამიბრუნენ. დიდიდან საგანგებოდ გამოვეწვიე, ახალ სამოსში და მოუთმენლად ველოდი ზარს, მაგრამ ამოდ... ნაწერა გადავიღე, მე კი იმ სამოსს “ყოფიანის ნარიადი” დავარქვი და... კარადაში გამოვეკეტე. მოგვიანებით მაინც შევხვდი, ერთადერთხელ და მაშინაც მასზე არ ვვილაპარაკებია. ახალბედმა შურნაღისტი ქართული ფეხბურთის მეფეზე, მიხეილ მესხზე სასაუბროდ ვეწვიე. ამდენი წლის შემდეგაც ფორტოგრაფიული სიხუსტით მახსოვს ყველა დეტალი, მოძრაობა. კაბინეტში ჩვეულებრივ შეხვდა, თავაზიანად, ჩემს გულს კი ბავაბუვი გაუდიოდა და, მგონი, ხმაც მიკანკალედა. ინტერვიუ მაღვევ დამისრულა, სკამიდან არც წამოდგარა, კვლავ თავაზიანად დამემშვიდობა და მაკიდაზე გაბნეულ ფურცლებში ჩარგო თავი. წამოდგომისას შევხვდი და... იცით, ამ დღეზე ვოცნებობდი-მეთქი. გაკვირვებით ამომხედა, მე კი თვალისდახმამებში ყველაფერი ვუთხარი, რასაც მასზე ვფიქრობდი. უცებ სახე გაუბრწყინდა და როდესაც ავტოგრაფი ვთხოვე, წამში ამოიღო უჯრიდან თავისი სავიზიტო ბარათი, ულამაზესი კალიგრაფიით წამიწერა და მომაწოდა. მერე კარამდე გამო-მაცილა და გულთბილად გამომემშვიდობა. მას მერე აღარ შეხვედრივართ, ის ავტოგრაფი კი მხრიდან ჩამოგლეჯილ ჩემს ჩანთას “გაჰყვა”, ცრემლებთან ერთად...”

აი, ეს პატარა მოგონება მაკავშირებს ჩემს იმჟამინდელ კერძთან და უდიდეს ფეხბურთელთან, დავით ყიფიანთან, რომელსაც 18 ივნისს 65 წელი შეუსრულდებოდა. ლეგენდური თბილისის “დინამოს” არქივს ბავშვობიდან ვქმნიდი, მერე კი, შურნაღისტობის დროიდან, საკუთარი ინტერვიუებით შევავსე. დღეს სწორედ იმ არქივიდან შემოგთავაზებთ საინტერესო ამბებს, მოგონებებსა და აზრებს და ვეცდები, “ჩემეული” დავით ყიფიანი დაგანახოთ. ვეცდები...  
“დათო ყიფიანის წასვლით ეპოქა დამთავრდა ჩემთვის”, – მითხრა მისმა თანაკლასელმა, ცნობილმა კინორეჟისორმა ლევან ერისთავმა და მასზე საუბარი სვედანარევი ხალხისთ დაიწყო:  
– როგორც ფეხბურთში გამოირჩეოდა დათო, სკოლაშიც ყველაზე ყველაფრით გამოირჩეული იყო. ერთმანეთს სკოლამდეც ვიცნობდით, რადგან ჩვენი მამები მეგობრობდნენ, მაგრამ სკოლაში შეხვედრამ ჩავგახსტა და მას შემდეგ ერთმანეთს არ მოვცილებივართ...  
დათო ძალიან კარგად სწავლობდა, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან ცუდიც იყო. თითქოს ჩარჩოებში ვერ ეტეოდა, ინდივიდუალისტი იყო. მეცხრე კლასში შუშა ჩამტვრია თუ შტეფსელი დაახიანა და ამის გამო გააგდეს ჩვენი სკოლიდან. არაა, ახლა რომ ვუფიქრებდი, ისეთი ნიჭიერი იყო, ნებისმიერ დარგში შეძლებდა წარმატების მიღწევას. იმდენად კარგად სწავლობდა, ოქროს მედლის აღებაც შეეძლო, მაგრამ არ მოისურვა. ფეხბურთზე სიარული ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდით, ხელფასს რომ იღებდა. იცით, როგორ ვამაყობდი მისი თამაშით?  
ფეხბურთი უზომოდ გვიყვარდა, ფეხბურთელები ღამის ღმერთებად მიგვანდნენ და მათზე დაწერილი ლექსებიც ზეპირად ვიცოდით. დიდიდან სადამომდეგ ჩვენც ფეხბურთს ვთამაშობდით და მე, რა თქმა უნდა, დათოს გუნდში ვიყავი, რადგან მისი გუნდი ყოველთვის იკებდა. სულ ვნოლიდი, პასს არ მაძლევს-მეთქი, მაგრამ ანკი რატომ უნდა მოეცა პასი? უნემოდაც ყველაფერს ბრწყინვალედ აკეთებდა. ვილაცხვებენ ენაძღვევობდა, ხუთ

ფორას მოგცემთ, ექვსამდე ვითამაშოთო, მარცხენა ფეხით შევავადებ ბურთსო. რა თქმა უნდა, სანაძღვეო ყოველთვის იგებდა.  
მერე, დიდ ფეხბურთში ძალიან გამოიცვალა: მოედანზე გაცემა უყვარდა, პასს არ დაყოვნებდა და ვინმეს მიაწვდიდა, არც არასდროს არავისი შეშურდებოდა.  
ზასილი შტპიანი, რუსი შურნაღისტი და კომენტატორი: “ყოფიანი შეიძლება, პიჯაკით გამოსულიყო მოედანზე და ეს ვერაფერს შეეშინა. მისი რამდენიმე ნაბიჯი ბურთით მიღერს ხდოდა ყველაფერს, თუნდაც იმ ადრეულ სიმელოტეს”.  
– ბავშვობიდან როგორი ტიპი იყო, იცით? თუკი შენიშნავდა, ვინმეს რამე არ ჰქონდა ან მისი ჩასაცემელი მოსწონდა, იმწამსვე გაიხდიდა და მისცემდა: საათს, პერანგს, შარვალს, ფეხსაცმელს. კიდევ მახსენდება, რომ დათოს ულამაზესი კალიგრაფია ჰქონდა. ასე კარგად იმეორებდა მამასსოვრდა, რომ ერთმანეთს ხშირად ვწერდით წერილებს.  
მერე კლასში ვიყავი, მამა რომ გარდაემეცვალა და დათოს მამასთან, უფროს დავით ყიფიანთან ვმეგობრობდი. არა მარტო მე, დათოს მამა ყველა ჩვენგანის მეგობარი იყო, მასთან ერთად ვქვიფობდით კიდევ, ვმღეროდით, ვიღხენდით, ოღონდ... დათოს გარეშე. მის მიმართ მამა განსაკუთრებულად მკაცრი იყო...  
ძალიან უბედო კაცი იყო დათო. ბევრი დარტყმა მიიღო ცხოვრებაში – მამამისის სიკვდილიც კი თვითმფრინავში ყოფნისას გაიგო, გაზუთში წაიკითხა. იმდენი ცუდი რამ მოხდა მის ცხოვრებაში, ხასიათიც დაუმძიმა, თორემ ბავშვობაში რატომ იქნებოდა მძიმე? საამისო საბაბო არ ჰქონდა. ცოლიც ძალიან ადრე მოიყვანა, სკოლა ახალი დამთავრებული გვქონდა. ქეთინო – მისი თანაკლასელი 53 სკოლიდან, ჩვენ მოვატაცებინეთ. ძალიან ბედნიერები ვიყავით და ვგვეგონა, მუდამ ასე იქნებოდა...  
დავით ყიფიანი გაზუთ “კომსოლოდსკაია პრავდას” კორესპონდენტთან ინტერვიუში ჰყვება: “მეყვარს მუსიკა, ლიტერატურა. ძალიან კარგა ბიბლიოთეკა მაქვს. ბავშვობაში დედა მაძალბებდა ინგლისურის შესწავლას. დღეს თავისუფლად ვლაპარაკობ შექსპირის ენაზე, ორიგინალში

გვითხულობ ინგლისელი მწერლების ნაწარმოებებს და ძალიან გვიან მივხვდი, რა მნიშვნელოვანია, როდესაც მშობლებს უჯერებ”.  
ჩვენმა კოლეგამ და დავით ყიფიანის უახლოესმა მეგობარმა გია გორგოძემ შესანიშნავი წიგნი მოუძღვნა დავითს – “დღესასწაულის წადილი”. წიგნი, სადაც ნამდვილ დავით ყიფიანს გაიცნობთ, იმას, ჯერ ცაში რომ აიყვანეს და იმავე აღამიანებმა მალევე ტალახიც რომ ესროლეს. სწორედ ისე, როგორც ხდება ხოლმე აქ, ჩვენთან, საქართველოში.  
დავით მადრადის ლექსიდან “დათო ყიფიანი”:  
“...აქ ასპარეზად იჭვების, გაკიდულია მანდილი.  
თივლი სიმკაცრით ისჯება დღესასწაულის წადილი...”  
ამიტომაც ამბობს გია გორგოძე: “ბოლო დროს მაინც ძალიან გაუჭირდა, ვეღარ იტანდა მისი პიროვნების მიმართ სხვადასხვა ჭიადლების და პირანიების შხამიან გამოსდომებს... როცა პანაშვიდებისთვის გასადიდებელ სურათებს ვარჩევდით, მაშინდა აღმოვაჩინე, რომ ბოლო წლების ფოტოებზე საოცრად ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, ამოუსწნელი სვედა იდგა მის მზერაში...”  
2001 წლის 17 სექტემბერს ყიფიანი ქობულეთში იმყოფებოდა, როცა რუსეთიდან დაურეკეს და მოსკოვის “დინამოს” მთავარი მწვრთნელობა შესთავაზეს. დათო თბილისისკენ გამოემგზავრა.  
იმ საღამოს სოფელ წეროვანთან ავტოავარია მოხდა. თბილისისკენ მიმავალი დათოს “მერსედესი” გზიდან გადავიდა და ხეს დაეჯახა. ყიფიანი დაიღუპა. ექიმების დასკვნით, ავარიამდე რამდენიმე წამით ადრე მას გულის შეტევა დაემართა.  
გია გორგოძე: “იმ ავადმოსაგონარ 17 სექტემბერს დღევანდელმა უგმირო, ანთხეულმა საქართველომ ბოლომდე ვერ გაისივრტყვანა მომხდარი უბედურება – დაჭიანებულ და დაბეჩავებულ ქვეყანას ჯილა მოუკვდა, კაცი სახელიანი და გულშიჩასაკრობი, ვინაც იმდენი დღესასწაული და გამარჯვების გემო გაგვასინჯა ქართველებს”...  
ირმა ხარშილაძე

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენბელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624  
თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.  
ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ვედიჩის წიგნი “კამპანია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.  
წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუზუარ ბობუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.  
ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

**ვანიჩა პრემიაში მონაბრევა**

ჩემო საყვარელო, სანატრელო, კეთილო, ყურადღებიანო შვილო ვანიჩა, თვალცრემლიანი, გულნატკენი და დამწუხრებული ვხვდებით შენი დაბადების დღეს – 7 ივნისს, უშენოდ. როგორ გიყვარდა დაბადების დღის გადახდა შენს მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად. ჩიტყვით გაგიფურინდი და წახვედი 3 თებერვალს, წახვედი და უკვე 5 თვეა შენს სახლში არ ხარ. ვერ ვიტანო უშენობას. მიჭირს, ძალიან გვიჭირს, ველოდები იმ დღეს, როცა შენს ბედნიერ სულს შევხვდები და შენთან ერთად ვიქნები. გულმოკლული, ფრთამოტეხილი და ატირებული დადის შენი ძმა ანზორი და ახლობლები, ყველას დააკლდი შვილო, ყველა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გიგონებს.  
მრავალი სიკეთე და სიყვარული დატოვე შენს ნაცნობ-მეგობრებში, დატოვე დაუვიწყარი სახელი. გამორჩეული ექიმი იყავი და მრავალთა სიცოცხლე ისენი სიკვდილის ბრტყალებიდან, მრავალ ადამიანთა სული მოგიბრუნებია სააქოს, მრავალი ოჯახი გაგიბედნიერებია შენი გულისხმიერებითა და კეთილშობილური საქმიანობით. სხვათა სიცოცხლის სადარჯლოზე მყოფს რა მოულოდნელად და კერაგულად ჩავისაფრდა სიკვდილი...  
ვლოცულობ და უფალს ვთხოვ, რომ ჩვენს მიერ ანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს სამარადისო სასუფეველში, ჩვენო მონატრებულო, ჭკვიანო, სასახელო ვაჟაკო.  
შენი სავალალო დედა ლეილა და ძმა ანზორი პრემიაში მონაბრევი, დეიდა გულიკო